კვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი — ყოველკვირეული გაზეთი — მეთერთმეტე

№ 25 — **კვირა, 20 ივლისი 1903 წ.** — **№ 25**

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპიორის ქუჩაზე, № 35. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

შინაარსი: მთავრობის განცხადებანი.—დ. ი. პისარევი, ნ—სა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ძიძა, მოთხრობა ნ. ნაკაშაძისა.—სტუდენტთა კითხვა, ნასტუდენტარისა.—ცოტა რამ სოფლის სკოლაზე. ა. ლაშელისა.—საზოგადო მოღვაწეობის ნიმუში, ნ. კალანდაძისა. ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

მთავრობის განცხადებანი.

ოფიციალურ გაზეთ კავკაზში მთავრობა აცხადებს შემდეგს:

14 ივლისს სადგ. მიხაილოვოს დეპოში საყვირის დაძახების შემდეგ მუშებმა მიატოვეს მუშაობა და ნავთის მილის მუშებთან ერთათ შეიჩერეს ტფილისიდან მომავალი საქონლის მატარებელი, ჩამოაგდეს ძირს შემანქანე და კაჩეგრები, გადახსნეს მატარებლის ლოკომოტივი და ისე დააგდეს ლიანდაგზე; შემდეგ ხალხი გაემართა სადგურზე ტელეგრაფის და საქონლის კანტორისკენ, სადაც უნდოდათ მუშაობის შეჩერება. ამის შემდეგ მუშებმა შემოიარეს მთელი სოფ. მიხაილოვო, დააკეტინეს ყველა დუქნები ბაზარში და ბოლოს 500 კაცამდე მიადგენ რკინის გზის ხიდს, სადაც სურამის და ბორჯომის ტიტები იწყება. ბორჯომიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რადგან ლიანდაგი ხალხს ქონდა დაკავებული. რკინის გზის აგენტების, ადგილობრივი ბოქაულის და ჟანდარმების მოთხოვნა და მუქარა დაშლილიყვენ ხალხმა უყურადღებოთ დასტოვა და წინწამოყენებულ ჯარს რიცხვით 40 კაცს, რომელიც სურამიდან იყო გამოწვეული, ქვის სროლა დაუწყო და იარაღების წართმევა მოუნდომა. მაშინ ჯარმა და ადგილობრივმა პოლიციის დარაჯებმა თოფები ესროლეს, რასაც შედეგათ მოყვა ექვსი კაცის სიკვდილი და ოცის დაჭრა, რომელთაგან 4 უკვე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ხალხი გაიფანტა და წესიერება აღდგენილ იქნა.

„1903 წელს, 13 ივლისს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ იმ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს-რიგის და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობის მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქნენ:

სამი თვით:

11 ივლისის დილის 10 საათიდან:

პურის მცხობნი: 1. ერმან დრეგვაძე, 2. ასლან ერაძე, 2. ევგენი კაციტაძე, 4. ნესტორ ჩინგუფაძე, 5. სოფრომ კემაკლიძე, 6. ნიკო პეტრიაშვილი, 7. ილიკო სერაძე, 8. დარისპან დაუშვილი, 9. სანდრო დავითულიანი, 10. ანტონ სხირტლაძე, 11. გერასიმ დვალიშვილი, 12. სიმონ გიორგობიანი, 13. ბაგრატ სხირტლაძე, 14. ლევან გვენცაძე, 15. თომა სოხაძე, 16. პოლიკარპ კაციტაძე, 17. ავქსენტი დოლაბერიძე, 18. მელიტონ ხუციტაძე.

ყასაბნი: 1. ალექსანდრე ცოვიანოვი, 1. სოლომონ კაზაშვილი, 3. გიორგი ბეგიაშვილი.

მედროგე 1) იაკობ ბალესტიშვილი.

სამი თვის ვადითვე:

12 ივლისის დილის 9 საათიდან:

მუშა: 1. ავეტიქ ავეტისიანცი, 2. სოლომონ ბულბულაშვილი, 3. სერგო ხანანოვი, 4. არშაკ გეურქოვი, 5. შამილ ტვაური.

ერთი თვით:

10 ივლისის საღამოს 9 საათიდან:

ნოქარი: 1. ალექსი მალალაშვილი, 2. ნიკოლოზ კანდელაკი, 3. ალექსი ბერიაშვილი, 4. ბაგრატ არუთინოვი, 5. შაქრო ფუცხურიკიძე, 6. სოლომონ სელიმაშვილი.

„1903 წელს, 16 ივლისს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობის და ქუჩაში ყრილობების მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქნენ:

სამი თვით:

1. მჭედლიძე დიმიტრი (დურგალი), 2. ეძვერიძე ვიქტორ, (ლაქია), 3. ეძვერიძე ილიკო (ლაქია), 4. ბესელია ერასტი (ლაქია), 5. ქოიავა ლუკა (ლაქია), 6. დოლიძე სარ-

დიონ (ლაქია), 7. ბაჯგუა ლევან (მარკერი), 8. ციმაკურიძე იოსებ (ლაქია), 9. სეჯაია ანდრია (ლაქია), 10. თოდუა ილარიონ (ლაქია), 11. ხალთასია გიორგი (ლაქია), 12. კოჭიაშვილი კონსტანტინე (ლაქია); 13. სარაჯაია ტარასი (ლაქია), 14. ედგვერიძე გიორგი (ლაქია), 15. აბრამიანცი ესტატე (მხატვარი), 16. ავაქოვი ივანე (რძის გამყიდავი), 17. მართაშვილი ნიკოლოზ (ნოქარი), 17. ალთუნაშვილი არტემ (ნოქარი), 19. შიშნიაშვილი ილია (ნოქარი), 21. ჯაგანაშვილი ივანე (დღიური მუშა), 22. იოანოვი ივანე (კალატოზი), 23. ციცაგია ილიკო (ხარაზი), 24. გოლოვაცკი გიორგი (ზეინკალი), 25. საურიშვილი ალექსანდრე (ქვის მთლელი), 26. ლოკიშვილი შაქრო (დურგალი), 27. ფრუიძე საბო (კონდუქტორი), 28. ნადირაძე გიორგი (ტრამვაის მეეტლე), 29. კუტუაშვილი ქიტესა (ტრამვაის მეეტლე), 30. სარბულაძე ერასტი (ტრამვაის მეეტლე), 31. შუაქიძე ნიკოლოზ (ხარაზი), 32. საგარაძე ერმალოზ (ტრამვაის კოდნუკტორი), 33). პარაპანაშვილი დავით (ტრამვაის მეეტლე).

ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ:

1. კუჭუხიძე ვიქტორ (პარიკ-მახერი), 2. სარქისოვი გეურქ (ხარაზი). 3. ხოსროშვილი აბრამ (წყლის მილზე მოსამსახურე), 4. მარიანოვი ივანე (დურგალი), 5. კოწიაშვილი გურგენ (დღირი მუშა), 6. ედიგაროვი გიორგი (დურგალი), 7. ნაცვლიშვილი სიკო (კალატოზი), 8. ბადალოვი დავით (დურგალი), 9. ზარიძე სოლომონ (ფეჩის მკეთებელი), 10. აღნიაშვილი ივანი (დურგალი).

ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲗ:

1. ქაბუსინიძე ლუკა (ლაქია), 2. კალაძე მინა (მბეჭდავი), 3. შარაშენიძე გიორგი (ასოთ-ამწყობი), 4. ჩხაიძე ნიკო (ასოთ-ამწყობი), 5. ნუკრაძე გიორგი (დურგალი), 6. ჯიოშვილი გრიგოლ (ტრამვაიში მოსამსაგურე), 7. მაისურაძე გიორგი (ზეინკალი), 8. კერესელიძე გალაქტიონ (ზეინკალი), 9. იაშვილი ვარლამ (წყლის მილზე მოსამსახურე), 10. კობიშალიძე სერგეი (ლაქია).

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ:

1. შაიშმელაშვილი გიორგი (ნოქარი).

ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ:

1. ერაძე ალექსი (ლაქია), 2. გელენიძე როსტომ (ლაქია) 3. პეტროსოვი ჰაიკ (მბეჭდავი), 4. ბენდიაშვილი ვარლამ (ლაქია), 5. პერტენავა ანდრია (ლაქია).

დაპატიმრების ვადა ითვლება 14 ივლისის საღამოს 9 საათიდან.

იმავე დაგენილებათ ძალით 18 ივლისის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ

ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ:

1. შახვერდოვი სერგო (ზეინკალი), 2. კაპანაძე პავლე (მეპურე), 3. მაისურაძე რაჟდენ (მეპურე), 4. მიქაძე გიორგი (თერძი), 5. თურქაძე ვასილი (კონკის კონდუქტორი), 6. გელიკურაშვილი გრიგოლ (ესეც კონდუქტორი), 7. გიორგობიანი გიორგი (რკინის გზის ხელოსანია) 8. ალასანია სამსონ (ზეინკალი), 9. ბენდუკიძე დიმიტრი (ზეინკალი), 10. აგანჯანოვი მანუჩა (მღებარი), 11. ოდგომელოვი დავით (თამბაქოს ფაბრიკის მუშა) 12. მანჯოიანცი ხეჩატურა (ნოქარი).

ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ:

1. სონაძე ლავრენტი (ზეინკალი), 2. ხურცელავა პეტრე.

ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲗ:

1. ლებანიძე გალაქტიონ (მეპურე), 2. ღრუბელაძე გიორგი (მღებარი), 3. სიმონოვი ოჰანეზ (ზღვაური), 4. ბაქალიძე ალექსი (მეპურე).

„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია:

„უმაღლესი ბძანებით სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებებს და კომგეობებს შემდეგი წესით უნდა გადაეცეს:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტრებს, სასულიერო დაწესებულებათ და სასულიერო სასწავლებელთ, იმ ქონებათა გარდა, რომელნიც ქვემოთ იქნება ჩამოთვლილი, უნდა ჩამოერთვას დამტკიცებული წესით სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდებას და დაწესებულებებს და გადაეცეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს; დასახელებულ დაწესებულებათა თანხები უნდა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს; ამასთანავე დაცულ უნდა იქნას სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო-ქონებათა სამინისტროს უნდა გადაეცეს სომეხ-გრიგორიანთა შემდეგი საეკლესიო ქონება:

ა) სხვა-და-სხვა გვარი მიწები, დასახლებული და დაუსახლებელი, ტუეები, საძოვარი ადგილები, წისქვილები, თევზის საჭერი ადგილები და სხვა. არ გადაეცემა მხოლოთ ის ადგილები, სადაც აშენებულია ეკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც ეპისკოპოსთა სახლებია და რომელიც უჭირავს სასულიერო დაწესებულებათ, საქალაქო და სასოფლო სამრევლო სამდვდელოებას და სასულიერო სასწავლებლებს; ადგილები, ეკლესიებისა და სასაფლაოების გალავანში მომწყვდეული და სამოსახლო ადგილები, რომლებითაც სამდვდელონი სარგებლობენ, — ბაღები, ბოსტნები, სახნავი ადგილები და სხვა, ზომით არა უმეტეს სამი დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზე არ გადაუცია შემოსავლის გულისთვის.

ბ) გადაიტემა სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის, სამდვდელოების და სასულიერო დაწესებულებათა სახლები და შენობები, რომელნიც საჭირო არაა სამდვდელოთა საცხოვრებლათ და საოჯახოთ.

შენიშვნა: ზემოხსენებული წესები არ შეეხება ჰეტერბურგისა და მოსკოვის სომეხთა ეკლესიების მამულებსა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს ექვემდებარება ყველა მამული და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ დასახელებულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ მამულებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა წარმოუდგინოს ანგარიში და შემოსავალი იმის უწყებაში მეოთე მამულებისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ მამულები და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შედგება იმის გაძგეობაში მეოთე თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს უნდა გამოაკლდეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით არა უმეტეს 10%-ისა ამ მამულების მართვა-გამგეობის სარჯის დასაფა

რავათ, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენათ არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, მამულების გაუმჯობესებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოაკლდეს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის თანხის შესადგენათ; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებათ.

6) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უკმაყოფილება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამდვდელოების ქონება და თანხები მთავრობას უნდა გადასცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტათ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს.

II. მიენდოს: 1. შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარე თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამდვდელოების დამხმარე თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქნას შედგენილი; მინისტრმა თავისი წინადადებანი უნდა წარადგინოს წესისამებრ; ბ) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ სასულიერო დაწესებულებებმა როგორ უნდა შეადგინონ ანგარიში იმ ფულისა, რომელიც სახარჯოთ გადაეცემათ. 2. მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სამინისტროებს და ბ) წესები ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

და III. 1898 წ. 26 მარტს უმაღლესათ დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ამ ნაირათ შეიცვალოს.

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოთ, ამ დებულების 1 მუხლის თანახმათ, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის მამულები სახელმწიფო მმართველობაში მიიღონ, ერთმანეთთან შეთანხმებით ასწერონ ის მამულები და ქონება რომლების შეშოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს; ამას გარდა ა) ასწერონ ის მამულები, რომლებიც უსათუოთ უნდა დასტოვონ ასწავლებელთა შესანახათ და ბ) დანარჩენ მამულების შემოსავლის დაგვარათ გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადასცენ ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ ასწავლებელთა შესანახათ.

დიმიტრი პისარევი.

4 ივლისს შესრულდა 35 წელიწადი დიმიტრი პისარევის გარდაცვალების დღიდან. მეტი არ იქნება, „კვალის“ მკითხველებს გავახსენოთ მისი მოკლე ბიოგრაფია და მისი ღვაწლი. პისარევი დაიბადა და გაიზარდა მდიდარ მემამულის ოჯახში. პატარაობისას სამაგალითო მორჩილებას იჩენდა და გიმნაზიაშიაც სამაგალითოთ სწავლობდა. 15 წლისა იყო, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. პირველათ აქაც ისეთივე მორჩილი და მაკადინი ყმაწვილი იყო, როგორც გიმნაზიაში, მაგრამ უცბათ შეიცვალა, ხასიათის ძლიერება გამოიჩინა; უცბათ ზურგი შეაქცია უნივერსიტეტს და თავისებურ გზას დაადგა. ამ გზამ პისარევს 1862 წ. ციხეში ამოაყოფინა თავი. ციხეში ჯდომის განმავლობაში იმან დასწერა თავისი საუკეთესო თხზულებები, როგორც მაგ., „Реалисты“, „Пушкинъ и Бѣлинскій“, „Подростающая гуманность“, „Наша университетская наука“ და სხვ. ჯერ კიდევ 18 წლისა იყო, როცა „Разсвѣтъ“-ში თანამშრომლობა დაიწყო და საზოგადო ყურადღება მიიქცია, მაგრამ მის მოღვაწეობის საუკეთესო ხანათ „Русское Слово“-ში თანამშრომლობა უნდა ჩაითვალოს. თუმცა ციხეში ყარგათ გრძნობდა თავს, არ ნაღვლობდა, მაგრამ 5 წლის ჯდომამ თავისი კვალი დაუტოვა და, როდესაც [illegible] ციხიდან გამოვიდა იგრძნო, რომ ღონე გამოლეული [illegible] ლამი და გონება ეურჩება. 27 წლის პისარევი ზღვაში ბანაობის დროს დაიხრჩო.

პისარევი არის წარმომადგენელი მესამოცე წლების ეპოქისა, როდესაც რუსულ ლიტერატურაში პირველათ გაიდგა ფესვები დემოკრატიულმა მიმართულებამ, როდესაც პირველათ იყო მიქცეული სერიოზული ყურადღება მშიერ და შიშველ ხალხისკენ. სიმდიდრე-სიღარიბის კითხვა წინათაც აფიქრებდა თვითეულ მაღალ გონების კაცებს (მაგ., ბელინსკის), მაგრამ ამ კითხვას როგორღაც განყენებულათ აყენებდენ და განყენებულათვე სწყვეტდენ. ამ კითხვის ძირითადი გადაწყვეტა თავში არავის მოსვლია. მესამოცე წლების მოღვაწეებმა კი უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ამ კითხვის პრაქტიკულათ გადაწყვეტას. მათ სამუდამოთ დასწყევლეს მხოლოთ პლატონიური, სიტყვიერი თანაგრძნობა ჩაგრულთადმი. თუ ჩაგრულთ თანაუგრძნობთო, ამბობდენ ისინი, საქმით დაამტკიცეთ, იღვაწეთ, გააკეთეთ რამე სასარგებლო ამ ჩაგრულთათვისო. არავის უფლება არა აქვს ტკბილათ, განცხრომით ცხოვრობდეს, როცა იცის, რომ იქვე, მის ახლო ჩაგრულები იტანჯებიან. პოეტს უფლება არა აქვს ია და ვარდზე მღეროდეს იმ დროს, როდესაც იმის ცხვირ წინ ჩაგრულები კვდებიან. ყოველი კაცი, რა ხელობისაც, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი, მოვალეა ამ ჩაგრულ ხალხს სარგებლობა რამ მოუტანოს, შეიტანოს თავისი წვლილი ტანჯულთათვის მალამოს მოსაცხებათო.

აი ამ აზრებზე აღიზარდა პისარევი და მედგრათ შეუდგა ამ აზრების გავრცელებას. როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, იგი სასტიკათ ებრძოდა არისტოკრატულ მიმართულებას ლიტერატურაში. მას რწამდა მხოლოთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც ხალხის სიხარულით ხარობს, ხალხის ცრემლებით ტირის; მან უარ-ჰყო ყველანაირი ხელოვნება, რაც კი მხოლოთ მაღალ კლასებისთვის არის ხელმისაწდომი. მას არა რწამდა არც მუსიკა, არც თეატრი, არც ბალეტი, არც სკულპტურა, არც მხატვრობა; სირცხვილია, კაცი ყველა ამით სტკბებოდეს, როდესაც ყოველ მხრიდან მშიერ-მწყურვალების კვნესა ისმისო. ჯერ ყველას გაძღომისათვის იზრუნე და თუ ხელოვნებით დატკბობა გინდა, მერე დასტკბიო. მეორმოცე წლებში ძალიან მკვიდრათ ქონდა გადგმული ფეხი ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ თეორიას. თვით ბელინსკიც კი იმ აზრს ადგა, ხელოვნებას აზრათ არ უნდა ქონდეს სარგებლობაო, „ხელოვნება ხელოვნებისათვისაო“. ამ მოძღვრებას მედგრათ შეებრძოლა პისარევი და სხვა მესამოცე წლების მწერლებთან ერთათ სამუდამოთ დამარხა იგი.

ასეთისავე შეხედულების იყო პისარევი მეცნიერების შესახებ. მეცნიერებმაც თავისი გამოკვლევა პატარა განათლებულ ჯგუფისთვის კი არ უნდა სწერონ, მათ სახეში უმეტეს ნაწილათ ხალხი უნდა ყავდეთ. უმთავრესი ყურადღება ყოველმა მწერალმა უნდა მიაქციოს ნამდვილ სამეცნიერო ცოდნის ხალხში გავრცელებას. „რა მეცნიერებაა ის მეცნიერება, რომელიც ხალხის ხელმისაწდომი არ არის? რა ხელოვნებაა ის ხელოვნება, რომლითაც მხოლოთ რამდენიმე სპეციალისტი დასტკბება?“ მეცნიერებასა და ხელოვნებას უთუოთ რამე სარგებლობა უნდა მოქონდეს ხალხისათვის. ხალხისთვის უსარგებლო მეცნიერება და ხელოვნება დასაგმობია, როგორც ცუდათ შრომა. „ნამდვილ მეცნიერებას უთუოთ საგრძნობელი ცოდნა მოაქვს, რომელსაც ხელით

შეიძლება შეეხო, თვალით დაინახო, და რაც ხელით შესახებია და თვალით დასანახავი, იმას ათის წლის ბავშვიც გაიგებს, უბრალო გლეხიც, მაღალი წრის კაციც და სპეციალისტი-მეცნიერიც".

მაშასადამე, პისარევი როგორც ხელოვნებისაგან, ისე მეცნიერებისაგან მოითხოვს ხალხის სამსახურს! ხალხის რეალური სარგებლობა—აი ის დევიზი, რომლითაც ხელმძღვანელობდა პისარევი მთელ თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში და რომელიც შეადგენს იმის საზოგადოებრივ ფილოსოფიის საძირკველს. ხალხის სარგებლობა კი მოითხოვს, რომ ყოველმა მოქალაქემ უმთავრესი ყურადღება მიაქციოს სიმდიდრე-სიღარიბის საკითხს: „მთელი ჩვენი აზროვნობის და ყოველ პატიოსანი კაცის მოღვაწეობის საბოლოო მიზანი ის არის, რომ სამუდამოთ გადავწყვიტოთ საკითხი შიერ და შიშველ ხალხის შესახებ; ამ საკითხის გარდა კაცი არაფერზე უნდა ზრუნავდეს, არაფერზე ფიქრობდეს". მაგრამ როგორ უნდა გადასწყდეს ეს საკითხი? მაშინდელი ლიბერალები ამ საკითხის გადასაწყვეტათ ლიბერალურ-ჰუმანიურ ზომებზე გვითითებდენ. ყოველი მემამულე უნდა ჰუმანიურათ ეპყრობოდეს თავის გლეხებს, არ უნდა ავიწროებდეს, ცოტა გადასახადს ადებდეს და მაშინ მადლიერი გლეხებიც თავის ბატონების კმაყოფილები შეიქნებიან და დადგება ის დრო, როდესაც ცხვარი და მგელი ერთათ სძოვენო. პისარევმა საკვირველი ნიჭით და სიძლიერით დაარღვია ასეთი მიმართულება. იმისი წერილი „Подростающая гуманность" შეიძლება ჩაითვალოს კლასიკურ წერილათ, რომლითაც პისარევმა სამუდამოთ გაათახსირა ლიბერალური მიმართულება. ამისთანა წერილები თავის დღეში არ ძველდება, მათი მნიშვნელობა ყოველთვის ძლიერი იქნება, ვიდრე საზოგადოება სამუდამოთ ხელს არ აიღებს ლიბერალურ ზომებზე და ვიდრე არ მოხდება ის, რასაც ამ წერილის ავტორი მოითხოვს,—წეს წყობილების ძირითადი შეცვლა. „ყველამ ვიცითო, ამბობს პისარევი, რომ მუშა ხალხისაგან წარმოებულ სიმდიდრის ნაწილი მუშების ხელიდან არა-მშრომელ ხალხის ხელში გადადის. თუ მუშა ხალხს უფრო მეტს სიმდიდრეს შევანარჩუნებთ, ამით მის სიღატაკეს შევამცირებთ". მაშასადამე, როგორ შევანარჩუნოთ მუშა ხალხს უფრო მეტი ნაწარმოები—აი ის კითხვა, რომელიც პისარევმა შემდეგ თაობას უანდერძა; თუმცა ეს კითხვა თითონ პისარევს არ გადუწყვეტია, მაგრამ ამ კითხვის დაყენებითაც დიდი ღვაწლი დასდო საზოგადოებრივ განვითარებას.

მაშასადამე, პისარევის საზოგადოებრივი ფილოსოფია შესდგებოდა საზოგადოების სარგებლობის ქადაგებაში. ხოლო სიტყვა „საზოგადოება" იმისთვის ნიშნავდა არა მაღალ რეებს, არამედ ხალხის უმრავლესობას—მშრომელ ხალხს. ამ მშრომელი ხალხის სარგებლობა იყო იმისი დევიზი, მშრომელ ხალხის სარგებლობა იყო ის საზომი, რომლითაც პისარევი ზომავდა ყოველ ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელობას, მშრომელ ხალხის სარგებლობას მოითხოვდა იგი როგორც მეცნიერებისაგან, ისე ხელოვნებისაგან, ისე ყოველ გონიერ და ზნეობრივ ადამიანისაგან. მაშასადამე, მშრომელ ხალხის სარგებლობის გაიდეალება, მის სარგებლობისათვის წეს-წყობილების შეცვლის ქადაგება, ლიბერალურ მიმართულების კლასიკურათ დამარცხება და მშიერ შიშველ ხალხის საკითხის დაყენება—აი ის ღვაწლი, რომლის გულისთვისაც ჩვენ სამუდამოთ მადლიერნი უნდა ვიყოთ პისარევისა და მოწიწებით უნდა ვიხსენებდეთ მის სახელს.

ნ.

შინაური მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელა ყველგან და ყველას, მაგრამ განსაკუთრებული სიცხეა რკინის გზაზე და რკინის გზის ვაგონებში. ცხელა, რასაკვირველია, პასსაჟირებს, რომელთაც ჩვენი რკინის გზის მართველობა სელიოდეკებივით აწყობს ვაგონებში. ამ ფაქტს, ძალაუნებურათ, ყველა ჩვენგანი აქცევს ყურადღებას, რადგან ვისაც ერთი მგზავრობა მაინც კი შეხვდება რკინის გზით, მერე რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ დავივიწყებთ, მაგრამ საჯაროთ, ფაქტით ხელში, მხოლოთ ბ. ვ. ლ—ვმ ამოიღო ხმა (Т. Лист. № 135), და გზის უფროსსაც გამოამჟღავნებია სინამდვილე ციფრებით. ბ. ვ. ლ—ვს სიტყვით, 8 ივნისს მატარებელი № 9/10 გორის სადგურზე ისე იყო სავსე მგზავრებით, რომ ნემსიც კი ვერსად ჩავარდებოდა, და მიუხედავათ ამისა ვაგონის მობმა არ ცნო საჭიროთ კაცმა. მართალია, გააპირა ვაგონის მობმა სადგურის უფროსმა, მაგრამ ერთ-ერთ უფროსთაგანმა, რომელიც იმავე მატარებლით მოდიოდა სალონ ვაგონით, დაუშალა, რადგან მობმული ვაგონი მას სანახავობას დაუფარავდა. ამ წერილზე გასცა პასუხი რკინის გზების უფროსმა, ინჟენერმა ივანოვსკიმ, რომელიც უმართებულოთ ცნობს მ. ლ—ვს ბრალდებას ვიღაც აგენტის შესახებ: საჭიროა მკითხველმა თვით გადაიკითხოთ ეს წერილი და დარწმუნდეს, რამდენათ მართალია ამ საქმეში უსახელო აგენტი, ჩვენ კი გვაინტერესებს თვით ის ციფრები, რომელიც ბ. უფროსს მოყავს თავისი ნათქვამის დასამტკიცებლათ, რომ არც ისე სავსე ყოფილა მატარებელი იმ დღეს, როგორც ბ. წ—ვს მოჩვენებიაო. აი ეს ციფრებიც. გორიდან ქალაქამდე მესამე კლასში ყოფილა ადგილი 140, ხოლო მგზავრი 186, მეორეში—ადგილი 48 მგზავრი კი 62. ამ რიგით, გამოდის რომ თითო ადგილზე ერთ-ნახევარი კაცი უნდა მჯდარიყო. ახლა თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ უბილეთონიც იქნებოდენ, უეჭველია, როგოც ყოველთვის ამასთან ბევრი ადგილი ბარგით იქნებოდა დაკავებული, დარწმუნდებით, რომ თითო ადგილზე ორ-ორი კაცი უნდა მჯდარიყო, და თუ ეს სივიწროვე არ არის, რაღას ქვია სივიწროვე? მხოლოთ პირველ კლასში ყოფილა თავისუფლება—20 ადგილზე 17 მგზავრი—და შეიძლება ისა აქვს სახეში ბ. უფროსს, როცა ამბობს არც ისეთი სივიწროვე იყოვო. ალბათ... აბა მესამე კლასის მგზავრებზე ღირს კი დაფიქრება, ან კი ვინ ფიქრობს სულყველაზე ჩვენს დროში!..

* * *

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდება ბ. ა. ლაშელის წერილი სოფლის სკოლებზე და მასწავლებლებზე, რომელშიაც ავტორი განმარტავს, თუ რათ გაურბის სასოფლო სკოლას მასწავლებელი და ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზათ ასახელებს მასწავლებლების ქონებრივ შევიწროებას. ამ აზრის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს ერთი წერილი, რომელიც შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. აი ზოგი რამ ამ წერილიდან:

„მ. ხ. ნება მომეცით მოგმართოთ უუმდაბლესი თხოვნით; გამიწიოთ დახმარება ჩემ ტანჯულ და აუტანელ მდგომარეობაში. მე ვარ მასწავლებელი, ვმსახურებდი სოფლის სკოლაში, მაგრამ „სხვა და სხვა შემთხვევისა" გამო იძულებული შევიქენი თავი დამენებებია ჩემი სამსახურისათვის, მიუხედავათ იმისა რომ ზამთარი იყო და არც წინ მოველოდი რასმე, არც არაფერი გამაჩნდა. ჩამოვედი აქ, ბ—ში, და ძლიერ ავათ შევიქენი. დავხარჯე მთელი ჩემი ქონება, გავანაღდე ჩემი გარდერობი (ტანისამოსი) და ახლა აღარ ვიცი რა

ვუყო ჩემ თავს. წასვლას ფული უნდა, არც დარჩენა შემიძლია იმავე მიზეზით; ხშირათ წმ. ანტონის საზრდოთი ვიკვებები (თარგმნილი ნიშნავს, მშიერი ვარ, ულუკმაპურო) ტანსაცმელიც მეტათ შელახული მაქვს. არ ვიცი როგორ დავახწიო თავი ამ მდგომარეობას"... და შემდეგ მოყვება შემწების თხოვნა და კიდევ თხოვნა... აი, ასე უზრუნველყოფილია სოფლის მასწავლებელი, ამდენი „ეკონომია“ გამოყვება სამსახურიდან გამოსვლისას და საკვირველი ის არის, რომ კიდევ მოიძებნება რიგიანი და ბეჯითი მასწავლებელი. რასაკვირველია, რომ პირობებში მყოფი ადგილს გაურბოდეს! რომელ ჩვენგანს შეუძლია მოთხოვოს კაცს უარყოს თავი თვისი? ბევრათ უფრო სამართლიანი იქნება იმისი მოთხოვნა, რომ მასწავლებელის მდგომარეობა გაუმჯობესდეს მატერიალურათ და მიეცეს უფრო თავისუფალი არე მოქმედებისა. მაშინ, მხოლოთ მაშინ გვექნება ნება მოვითხოვოთ მათგან გულდადებული შრომა და რიგიანი ნაყოფი, თორემ გარემო ხალხს მოწყვეტილი (იხ. წერილი ლაშელისა) და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, როგორ შესძლებს გაუძლვეს ისეთ მძიმე საქმეს, როგორც ახალთაობის აღზრდაა...

*
* *

უკანასკნელ წლებში ქალაქის საბჭომ მხოლოთ ერთათ ერთი საქმე მოაწყო ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა ეთქვა კაცს,—ამაში კი ჩანს მცხოვრებლებზე მზრუნველობაო. ეს იყო ხორცის დუქნების მოწყობა, მაგრამ მათი საქმეც ისე არის დაყენებული, რომ ჯერ ქალაქს ზარალის მეტი არაფერი უნახავს და არც მცხოვრებლები ყავს მადლიერი. ხორცი იქ უარესია ვიდრე კერძო საყასპოებში, ვერც იშოვი შენ დროზე ვერაფერს; მაგრათ აქვს მოკიდებული ფეხი ნათელ მირონობის და ყველა ამ მიზეზთა გამო ხალხი გაურბის ქალაქის დუქნებს. შეიძლებოდა კი საქმის რიგიანათ მოწყობა და არც ქალაქი იქნებოდა ზარალში, მაგრამ საქმეს ყურადღება აკლია. მაგალითათ, როგორც ხმოსანმა ვართანოვმა გამოამჟღავნა 7 ივლისს საბჭოის სხდომაზე, ავლაბრის დუქანში თვით ხმოსანს შეუნიშნავს გაფუჭებული, სახმარათ უვარგისი ხორცი; დუქნის წყლის მილში წყალი არ ყოფილა, ხორცი დაუფარავი იყო და მწერები აფუჭებდენ. თამამშევის ქარვასლაში მოთავსებული დუქნის ქვეშ ქონის საწყობია თურმე გამართული და იქვე სანაგვე კოლოფი, რაც მეტათ ცუდს სუნს ავრცელებს. ყოველივე ამის მიხედვით ხმოსანმა საჭიროთ დაინახა, შეკითხებოდა გამგეობას, ადევნებენ თუ არა თვალყურს ხორცის დუქნების საქმეს. ეს შეკითხვა მეტათ სწყენიათ კომისსიის წევრებს და შეურაცხყოფათ მიუღიათ. ერთს მათგანს ისიც უთქვამს—არ არის საკადრისი ასეთი ამბების შარაზე გამოტანაო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, უფრო არ არის საკადრისი საქმის მეთაურთა ყოფაქცევა, რომელთა მოვალეობას შეადგენს საჭირო და სასურველი საქმის რიგიანათ მოწყობა. ამისთანა საქმეში ცრუ თავმოყვარეობათ უნდა ჩაითვალოს იმის თქმა ჩვენთვის გეთქვა და ჩვენ გავასწორებდით საქმესო. საზოგადო საქმის მეთაური ყოველთვის უნდა გრძნობდეს საზოგადოების კონტროლს და მხოლოთ მაშინ შეიძლება საქმის წარმართვა. ჩვენში კი სამწუხაროთ ეს კონტროლი სუსტია, და თუ იჩინა სადმე თავი, იქაც მტრულათ შევხვდებით. ჩვენი აზრით კომისიას მხოლოთ მადლობა შეეძლო გამოეცხადებია ბ. ვართანოვისთვის, რომელმაც ის შენიშნა, რაც თვით ვერ შეენიშნათ და გააგებინა ამა თუ იმ გზით.

სხვა-და-სხვა ამბები

ბაქოს გაზეთ „კასპ“-ში დაბეჭდილია: „[illegible] ექვსი დღე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული [illegible] სადგური ბაქოში სავსეა ნავთის ვაგონებით. ეს ნავთი ბათუმში უნდა გაეგზავნათ 10 ივლისს. საღამოს 10 საათზე დროებით შეწყვეტილმა ტელეფონმა მუშაობა განაახლა ბაქოსა და ბალახანას შორის. 11 ივლისიდან ხელ-ახლა დაიწყეს მუშაობა ბაქოს სხვა-და-სხვა სახელოსნოებმა. ქალაქის ტრამვაიზე ვაგონები თანდათან ემატება. 10 ივლისს მხოლოდ ორიოდე ვაგონი გამოვიდა. ვაგონებს ჯერ კიდევ ჯარის-კაცნი ახლავან. კონდუქტორებად და კუჩერებად, ორიოდეს გარდა, ახლები არიან, რომელნიც საქმეს სულ არ არიან შეჩვეულნი. ჩორნი გოროდში ქარხნები მთელი ერთი კვირა არ მუშაობდენ. 11 ივლისს განაახლეს მხოლოდ მუშაობა, თუმცა მუშათა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. მთელი ექვსი დღე ნავთის მილით ნავთის გაგზავნა ბაქო-ვოლჩივოროტას და ხაშურ-ბათუმ შორის შეჩერებული იყო. ნავთის გასაგზავნ ხადგურების აუზები ძალზე სავსეა ნავთით. რადგან მატარებლების მიმოსვლა რამდენისამე დღით შესწყდა, ბევრ პატარა სადგურს ბაქოსკენ სურსათი შემოაკლდა. მიზეზი ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში დუქან-ვაგონები არ მოქმედებდა. 7 ივლისს შეწყვეტილი მუშაობა მოსწავლეებისა სატეხნიკო სასწავლებელსა და სახელოსნო სკოლაში 10 ივლისს განაახლეს. როგორც გავიგეთ, ბაქოს სამრეცხაოებში მომუშავე ქალებს განზრახვა აქვთ საერთო თხოვნა შეიტანონ ქალაქის გამგეობაში და მოითხოვონ სამუშაო დროს გაწესრიგება. ბაქოში ჩამოვიდა მინგრელის რაზმის ბატალიონი. ქალაქის გამგეობამ წევრს საფარალიევს მიანდო, რამდენათაც ქალაქის მხრივ შესაძლებელია, შემწეობა აღმოუჩინოს ამ ბატალიონს. ბაქოში ჩამოვიდენ: ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი მ. ე. შულცი—ტფილისიდან, კავკასიის მსროლელთა ბატალიონის უფროსი ამასეისკი—გორიდან და ასი ყაზახი უმანის რაზმისა. ღამე წეს-რიგის დასაცავად ქალაქში ყაზახთა რაზმები დადიან. დაიწყო მუშაობა „ელექტრონულ ძალის“ საზოგადოების საელექტრონო სადგურმა. ეს სადგური ანათებს საზოგადო დაწესებულებებს, მაღაზიებს, კერძო სადგომებს და სხვას. ამ ჟამათ სადგურს ჯარი სდარაჯობს“.

როგორც „ბაკ. იზვ.“ გადმოგვცემს, ბაქოს ყველა ქარხანასა და ზავოდში გამოკრული ყოფილა შემდეგი განცხადება: „ადმინისტრაცია აცხადებს: 1) ის ხელოსანნი და მუშები, რომელნიც 14 ივლისს დილის 6 საათზე სამუშაოდ გამოცხადდებიან, მოსამსახურეება დარჩებიან; 2) ისინი, რომელნიც ამ დროსათვის არ გამოცხადდებიან, 5 ივლისიდან გამორიცხულათ ჩაითვლებიან და შეუძლიათ კუთვნილი ფული წაიღონ; 3) აღნიშნულ ვადაზე მოსულ მუშებს და ხელოსნებს შეუძლიანთ თავიანთი საჭიროებანი გადასცენ ფირმის ადმინისტრაციას. ამ საჭიროებებს. ფირმა შეძლებისა და გვარათ დააკმაყოფილებას-

როგორც „ბაკ. იზვ.“-ვე გადმოგვცემს, ბაქოში მუშაობის შეჩერებამ ნავთის მწარმოებელთ 12 მილიონ მანეთის ზარალი მოუტანა. ზოგიერთ ფირმაზე 14 ივლისს უკვე დაუწყიათ მუშაობა.

სამი დღე თფილისის ყასპები საქონელს აღარა კლავდენ და ხორცს აღარ ყიდენ, ხორცი არც ქალაქის დუქნებში იყიდებოდა, რადგან სალახებმა (საქონლის დამკვლელებმა) ხელი აიღეს მუშაობაზე. სალახები მუშაობის სიძნელეს უჩი-

ვიან, ყასპები—ქალაქის გამგეობას და ბეითლებს. ქალაქის გამგეობა ბევრს სცდილობდა, მაგრამ კარგა ხანს ვერა-გააწყო-რა. საქმის ასეთ ვითარების გამო რესტორანებსა და მსხვილ ფირმების პატრონებმა სთხოვეს გუბერნატორს ნება მისცეს კერძოდ საქონლის დაკვლისა. გუბერნატორმა როგორც მთხოვნელთ, ისე ქალაქის მკვიდრთ ნება დართო თავიანთ საჭიროებათათვის დაკლან საქონელი. ხორცის სიძვირით ისარგებლეს სხვა სანოვაგის ვაჭრებმა და მეტად გააძვირეს ქალაქში ყველაფერი. განსაკუთრებით ქათმებსა და სხვა ფრინველს ერთი სამად უფრო ძვირად აფასებენ, ზოგმა რესტორანის პატრონმა კოჯორიდან და ბორჯომიდან დაიბარა ხორცი.

„ხორცის კრიზისმა" თფილისში ხუთი დღე გასტანა. 10—16 ივლისამდე ხორცის დუქნებში და, საზოგადოთ მთელ ქალაქში ხორცი არ მოიპოებოდა. გუშინ ხელ-ახლა დაიწყეს ყასპებმა ხორცით ვაჭრობა. 15 ივლისს, საყასპოზე ნავთლუხში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი იყო.

ორშაბათს, 14 ივლისს, ტფილისში ცხენის რკინის გზის ვაგონებს აღარ უმუშავნიათ. მიზეზი რაღაც უსიამოვნება ყოფილა, რომელიც ტრამვაის გამგეთა და კონდუქტორ-კუჩრების შორის ჩამოვარდნილა. ვაგონების მიმოსვლა განახლდა 15 ივლისს. კონდუქტორების ნაცვლათ ვაგონზე ჯარის კაცნი არიან და ყიდიან ბილეთებს, ხოლო ქუჩრებად ახლები აიყვანეს.

სამშაბათს, 15 ივლისს, მოლაპარაკება ქონდათ ტფილისის რესტორანების და სასტუმროების პატრონებს. მოლაპარაკების საგანი—ლაქიათა მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. ლაქიები კარგა ხანია თხოულობენ ამას. როგორც უწყით, ლაქიებს ჯამაგირი სულ არ ეძლევათ სასტუმროს ან რესტორანის პატრონებისაგან, ზოგგან სადგომიც არა აქვთ. კრებამ დაადგინა, დაუნიშნოს ლაქიებს ჯამაგირი, თითოს თითო თუმანი. ამას გარდა სადგომებიც უნდა მიეცეთ ლაქიებს.

ლაქიებმა მოითხოვეს ჯამაგირის დანიშვნის გარდა სადილვახშამი (ზოგგან არ ეძლეოდათ) ხეირიანი სადგომები და სხვა. ზოგგან სასტუმროსა და რესტორანის პატრონნი დღემდე ბეს ართმევდნენ ლაქიებს, ართმევდნენ აგრეთვე სხვა ფულსაც, რომელსაც შემდეგ დამტვრეულ ჭურჭელსა და მოპარულ ნივთებში უბრიდენ. ლაქიებმა მოითხოვეს ბეს გაუქმება, ხოლო მოპარული და დამტვრეული ნივთები სანახევროდ უნდა ზღონ პატრონმა და ლაქიებმა. ყველა ეს პირობა რესტორანებისა და სასტუმროს პატრონებმა შეიწყნარეს. პირველად ვერ შეთანხმდნენ იმ ნისიას შესახებ, რომელიც მუშტრებზე რჩება, ხშირად შედიან რესტორანებში სხვა-და-სხვა ვაჟბატონები, სვამენ, სჭამენ და ფულს კი არ იხდიან, პირიქით, ლაქიასაც სცემენ ხოლმე. რესტორანის პატრონებს (ზოგიერთებს) უნდოდათ, ასეთ მოვალეებს ფული ლაქიებმა გამოართვან და საზოგადოთ დანახარჯი ლაქიებზე ითვლებოდეს, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ შეიწყნარეს ეს მუხლი. შედგენილ პირობას უკვე მოაწერეს ხელი, მხოლოდ რესტორანის ორიოდე პატრონს არ მოუწერია ჯერ.

ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს, როგორც „ნოვ.ობ." გადმოგვცემს, ჭიათურის შავი ქვის ექსპორტის საქმეში მონაწილეობა მიაღებინოს ორ ბანკს—რუსეთის საგარეო ვაჭრობისათვის არსებულს და ხარკოვ-აზოვის საკომერციო ბანკებს; სამინისტროს უნდა ამით შავის ქვის ექსპორტი გააწესრიგოს. ბანკები საგენტოებს მოაწყობენ ჭიათურაში. ამას გარდა გამართავენ ქარხანას ქვის გასაწმენდათ.

გორის ქალაქის თვით-მმართველობის რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია 15 ოქტომბრისათვის.

„ბაკ. იზვ."-ში ვკითხულობთ: „ამჟამად (15 ივლისს) ბაქოში 1000 ჯარის-კაცზე მეტია. გუშინ რკინის გზის ვაგონები უჯარის-კაცებოთ დადიოდენ".

როგორც „კასპი" გადმოგვცემს, გზათა მინისტრის ნებართვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი იწვევს იმათ, ვისაც საშვალო სასწავლებლის 4 კლასი ან საქალაქო სასწავლებლის 5—6 კლასი გაუთავებია, შეისწავლონ უსასყიდლოთ ამწონისა და კანტორის გამგის ხელობა. ამათ, შესწავლის შემდეგ, სამსახურში მიიღებენ.

ტფილისის ხელოსანთა მოურავმა დააბეჭდვინა განცხადებები და 12 ივლისს დაურიგა ხელოსანთა ქარგლებსა, დურგლებსა, ფეხსაცმელების მკერვალთ, ტანისამოსის მკერვალთ და სხვებს. განცხადებებში რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და სხვა ენებზე გადაცემულია შინაარსი სახელოსნო წესდების იმ მუხლებისა, რომელიც შეეხება სახელოსნოებში მუშაობას.

ამას წინათ თელავის თვით-მართველობამ განიზრახა, თელავში ქალაქის საავადმყოფოს დაარსება. საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას განუხილავს ეს შუამდგომლობა, სასურველად უცვნია სამკურნალოს დაარსება და დაუვალებია თელავის თვით-მმართველობისათვის შეიმუშაოს სამკურნალოს მართვა-გამგეობის ინსტრუქცია.

ტფილისის ტრამვაის ვაგონებზე დღევანდლამდე კონდუქტორობას ჯარის-კაცნი ეწევიან. უსახელო საზოგადოების გამგეობა ახლა შეუდგა თურმე ახალ კონდუქტორების დაქირავებას. ჯერ-ჯერობით მიღებულია 7 კაცი. სულ საჭიროა ასამდე კონდუქტორი, ამდენივე ქუჩერი და რამდენიმე კონტროლიორი. რადგან ამ ჟამათ არც კონდუქტორია გამოცდილი და არც ქუჩერი, ხშირათ უწესოება და უბედურება ხდება. 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, საავათმყოფოსთან ქუჩრების გამოუცდელობისა გამო დროზე ვერ შეაჩერეს ვაგონები, რის გამო ისინი ერთმანეთს დაეტაკენ. კარგია კიდევ, რომ არავინ დაშავებულა. ამ დროს ერთი ეტლი მორბოდა ძალზე. ვაგონიდან ჩამომხტარმა ხალხმა გაქცევა ვერ მოასწრო და ეტლმა ორი ბავშვი ქვეშ მოიტანა ერთი უვნებელი გადარჩა, მეორე კი დაშავდა.

გუშინწინ, 18 ივლისს, 3 დღის შეჩერების შემდეგ განახლდა მიმოსვლა ცხენის რკინის გზის ვაგონებისა ავჭალის ქუჩაზე, კონდუქტორებათ სალდათებია. ვაგონს 4 სალდათი დაყვება.

„ბაკ. იზვ."-ში ვკითხულობთ: „რადგან ბაქოს, ტფილისისა და ხაშურის სადგურებზე წესიერების დასაცველათ და სადარაჯოთ ჯარს მთელი დღე უხდება სიცხეში დგომა და რადგან ამ ჯარს არც ღამე აქვს მოსვენება, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის შუამდგომლობით აფიცრებს და ჯარის კაცებს ჯილდო დაენიშნათ: შტაბ-აფიცრებს ეძლევათ თითოს დღეში 2 მანეთი, ობერ-აფიცრებს—1 მან. და ჯარის-კაცებს—25 კაპ.

აგვისტოს პირველ რიცხვებში, როგორც ბაქოს გაზე-

თებს გაუგიათ, პეტერბურგიდან ბაქოში ჩამოვა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი ფონ-ვალი.

— —

დიდი უბედურება მოხდა რკინის გზაზე ასტაფისა და შაქარლის სადგურებს შუა: საქონლის მატარებელი № 151 ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა. ალსტაფიდან მატარებელი ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე გავიდა. სულ მატარებელში 25 დატვირთვული ვაგონი იყო. გასცდა თუ არა მატარებელი სადგურს, უეცრად ორთქლ-მავალი ლიანდაგიდან გადავარდა და მიწაში შეიჭრა. 13 ვაგონი თან გადაყვა ორთქლ-მავალს. ეს ვაგონები ძალზე დაიმსხვრა და მოკვდა რამდენიმე კაცი.

———

„ნოვ. ობ.“-ს ქუთაისიდან სწერენ: „15 ივლისს გუბერნატორი სმაგინი საგანგებო მატარებლით ქუთაისიდან შორაპნის სადგურზე წავიდა. საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეში მუშაობა შეჩერებულია“.

— —

ქუთაისში ნოქრები და მაღაზიის პატრონები შეთანახმებულან, რომ მუშაობა დილის 8 საათზე იწყებოდეს და საღამოს 8 საათზე თავდებოდეს.

———

ბაქოში, როგორც ადგილობრივი გაზეთები სწერენ, დეპოს, სახელოსნოებს, საწყობებს, პაკჰაუზებს, ლიანდაგებს, აგრეთვე ვაგონებს ჯარი დარაჯობს თურმე.

——

15, 16 ივლისს თბილისის გაზეთები გარდა „კავკაზისა“ არ გამოსულან.

— —

15 მაისს 1904 წ. სრულდება 25 წელიწადი მას აქეთ, რაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოება არსებობს. ამიტომ ამ დროსთვის როგორც „ცნ.-ფურც.“ ამბობს, გამოვა მოკლე აღწერა საზოგადოების 25 წლის მოღვაწეობისა.

——

ბაქოში ტრამვაის მოსვლია 7000 მან. ზარალი იმ დღეებში, როცა ტრამვაის მსვლელობა შეწყვეტილი იყო.

——

ქუთაისში შემდგარა სინდიკატი აგურის გამყიდველებისა, მიზანთა აქვთ აგურის ფასი ასწიონ. მათ მიიმხრეს ყველა წვრილი მეაგურეები და პირობა დაადებინეს საზოგადოების კანტორის გარეშე არ გაყიდონ თავის აგური.

— —

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს სამოსწავლო ოლქის წინაშე ჭიათურაში საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელში სატეხნიკო განყოფილებაც უნდა იქნეს.

———

ქართული თეატრის გამგეობას გადაუწყვეტია, აგვისტოს შუა რიცხვებში გამართოს რამდენიმე გამოსაცდელი წარმოდგენა; გამგეობა იწვევს მსურველთ. გამოსაცდელ წარმოდგენების ხელმძღვანელობა უკისრნია ბ-ნ ვალერ. გუნიას, რომელმაც ამ ორის წლის წინათაც გამართა ერთი გამოსაცდელი წარმოდგენა, რასაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მსურველნი მიმართავენ თეატრის კანტორას დღეიდან აგვისტოს 5-მდე, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, სადაც ჩაეწერებიან, ვის რა როლში სურს გამოცდა.

———

ადესა. „რუსის საზოგადოების“ გემებმა ყირიმისკენ მისვლა შეაჩერეს, რადგან გემის ოსტატები და ცეცხლის შემკეთებლები („კაჩეგარები“) ფასის მომატებასა და სამსახურის პირობების გამოცვლას თხოულობდენ. ელიან სახელმწიფო მეზღვაურებს (მატროსებს), რომ იმათის შემწეობით გემების წესიერი მიმოსვლა განაახლონ.

იქიდანვე 15 ივლისი. რუსის მეგემეობისა და ვაჭრობის საზოგადოების სამგზავრო და საფოსტო გემებზე მეზღვაურები მუშაობენ. მეზღვაურები სევასტოპოლის ნავთ-სადგურიდან გამოგზავნეს. ხვალიდან ყირიმსა და კავკასიას შუა და სხვა მხარეს წესიერი მიმოსვლა იქნება აღდგენილი.

კორესპონდენციები

ქ. ახალციხე. დღევანდელი ქალაქის მმართველნი რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ხელ-მოკლე მოქალაქეთა გაჭირვებას, ეს ცხადზე უცხადესია და ნურც გაგიკვირდებათ, რომ ახალციხის ძველი ნაწილი ანუ რაბათი, სადაც ღარიბ-ღატაკი ქართველობა ცხოვრობს, დღეს დიდ გაჭირვებაში იყოს უწყლობის გამო. ერთი ხევის სიმსხო წყარო კი გამოწინწილებს, მაგრამ ვაი ამ „გამოწინწილებას“: ისეთი უხეირო წყალია, რომ მისი წყალობით ყოველ ზაფხულობით მუცლის წვა აუცილებელი მოვლენაა ჩვენთვის. თუმცა ნახევარ ვერსის სიშორეზე ფოცხოვის მდინარე ჩაუდის რაბათს, მაგრამ ესეც ხშირათ იმღვრევა ხოლმე და მაშინ ხომ ჭურჭლის დასარეცხათაც აღარ ვარგა; გარდა ამისა, მას ერთვის აბასთუმნის წყალი, რომელსაც მოაგარაკეთა ათასგვარი სენი ჩამოაქვს და ათუჭებს მდინარეს. ადგილობრივმა სამხედრო საქომო უწყებამ უვარგისათ იცნო, როგორც მდინარე, ისე ჩვენი წყაროც და გამოაყვანია წყალი ერთ აქაურ მახლობელ მთიდან. ჩვენი ქალაქის მამებმა ჩოქვით და დიდის მუდარით თხოვეს: ბატონებო, თქვენი ჭირიმეთ, შვილები მწყურვალე გვეხოცებიან, მოწყალება მოიღეთ და გაიგითხეთ ბედისგან დაჩაგრული მოქალაქენიო! სამხედრო მთავრობამ შეიწყნარა მათი ვედრება და დღე-დამეში სამ-სამი ათასი ვედრა წყალი უწყალობა ქალაქს. „ერთგულ მამებმა“ გადასწყვიტეს, ექვსათ გავანაწილოთ ეს საუნჯე და ქალაქის ყოველ მხარეს გამოვადინოთო. (რასაკვირველია, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით). რაბათელები მეტი სიხარულით ფეხზე აღარ იდგენ, მოგვხედა ღმერთმა და წულით ჩვენი გამდიდრება ინებაო! მაშინვე თხოვეს მამებს, იდონდ ერთი ამ ახალ წყაროთაგანი ჩვენთვის გამოიმეტეთ და რაბათამდე ჩვენის ხარჯით ამოვიყვანთო. „გულშემატკივარ მამებმა“ ამ თხოვნას ПРИНЯТЬ КЪ СВѢДѢНІЮ დააწერეს, დაპირებითაც დაგვპირდენ, მაგრამ ამ „დაპირებამაც“ ისეთივე ჩაილულის წყალი იგემა, როგორიც სხვა მრავალმა.

ჩვენი ქალაქის მმართველობას კარგი რამ სჭირდეს—გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია... დიახ, არ არის საკვირველი, რომ ეს წყაროებიც ახალ ნაწილის იმ უბნებში გამოადინონ, სადაც მათი სატრფო მდიდარნი ცხოვრობენ, და სადაც უმისოთაც მრავალი წყარო გამოჩუხჩუხებს, და საწყალ რაბათს კი, რომელიც ქალაქის მეოთხედს უდრის, უწყლობისაგან სული ამოხდეს.

ბაგრატ ბეთანელი.

—

ქ. ფოთი. როგორც იქნა, ეღირსათ ფოთის ნოქრებს ცოტა-ოდენი დასვენება კვირა-უქმეებში. 6 ივლისს გამოგვიცხადეს პოლიციელებმა კვირა დღით მარტო 5 საათი ვაჭრობა უნდა იქნეს, 12 საათიდან 5-მდინ, სხვა უქმეებში კი მარტო 12 საათამდინ. მართალია, შეუჩვეველმა ადებმა დაიწყეს ლაპარაკი, დავიქცევით და დავიღუპებითო, მაგრამ არაფერია. ამასაც შეეჩვევიან.

დიდი უწესობაა, რომ თანახმათ იმავე დადგენილებისა, ყავახანები და ღვინის საწყობები 12 საათამდინ უნდა ყოფილიყო დაკეტილი, მაგრამ ეს არავის არ მოყავს სისრულეში. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ამას ყურადღება მიექცეს.

იმერელი.

—

დ. ᲝᲜᲘ (რაჭა). ონში 29 ივნისს მრავალ დაბრკოლებების შემდეგ, სცენის მოუკარეებმა წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს 3 მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. ჩემი მხრით უნდა ვთქვა, რომ სასურველი იქნება ვეღარ ვნახოთ რაც ბეტრე-ბავლობის დამეს ვნახეთ... წარმოდგენას დიდი საზოგადოება დასწრო, ასე რომ უკან მდგომნი ვიწროობისა გამო იძულებული ხდებოდა გარეთ გამოსულიყვენ და ისე ეყურებიათ წარმოდგენისათვის. პირველი მოქმედება გაჭიანურდა რაჭველისაგან ჭიანურ-საზანდარივით. ანტრაქტზე ჯერ „უწმინდურნი“ ჩამოგვაერეს ძირს, მერე «წმინდანნი» (პოდიციას ეშინოდა, თურმე არ ჩაიმტვრეს ბალკონი და არ დაიდუპოს ხალხი) დაიწყო მეორე მოქმედება; შეიქნა სცენაზე ჩხუბი, ჩხუბს მოყვა თავის მართლება, ასე რომ წარმოდგენას კი არა ჩხუბს ვუყურეთ ჩვენ დაღალულ დაქანცულებმა. დარაჯებმაც თავის ზომები მიიღეს... როგორც იყო დაშოშმინდენ, განაგრძეს წარმოდგენა...

ჩვენი პატარა საზოგადოება როგორდაც ერთხელ მოესწრო წარმოდგენის უყურებას და მაშინაც მოთმაშეთ ჩხუბი და ავალ-მავალი ასტეხეს. სასურველია, კვლავ ადარ განმეორდეს ეს უწესობა. რათ უკარგავენ მოთამაშენი ხალხს სცენის სიყვარულს. ნუ თუ არ იციან, რომ სოფლებიდანაც ჩამოდიან, როდესაც გაიგონებენ ონში წარმოდგენა იმართებაო. წარმოდგენის მიზანი დიდათ პატივსაცემი იყო, საკითხველოს ხელის შეწყობა, რომელსაც. როგორც გადმოგვცეს, ექვსი თუმანი დარჩა წმინდა შემოსავალი, რომელიც გადაეცემა ონის საკითხველოს გამგეობას. სასურველია ხშირათ გაიმართოს წარმოდგენა, მხოლოთ უსკანდალო კი, თორემ მთლათ დაიფრთხობენ ხალხს.

რაჭველი მარტია.

—

ს. ᲐᲪᲐᲜᲐ (გურია). იყო დრო, როცა აცანის ბედ-იღბალს განაგებდენ დიდი ბროცენტებით ქინძრ გასუქებული ვაჭ-ბატონები; ნახევარზე მეტი საზოგადოებისა დამოკიდებული იყო ამ ვაჭ-ბატონებისაგან; და რაც უნდა საკეთილ-დღეო რამე დაგეწყოთ, თუ მათ არ მოეწონებოდათ, უბრძანებდენ თავიანთ ბრიგადას და გაჩნდებოდა დაუსრულებელი „არ გვინდა არ გვინდას“ ყვირილი. სწორეთ ასეთ დროს ჩვენ წინადადება მივეცეთ საზოგადოებას შეედგინათ განაჩენი საქალებო სკოლის დარსებაზე; მასწავლებლის ჯამაგირს დირექცია შეგვპირდა, შენობა მზათ იყო, მხოლოდ ცოტა საჭიროებდა შეკეთებას. ჩვენი წინადადება არ მოეწონა ამ ვაჭ-ბატონებს და შეიქნა ერთი დაუსრულებელი „არ გვინდა, არ გვინდას“, ყვირილი ურიდობაზე: ჩემმა და სიბნელის მოყვარულმა დამურავებმა ჩვენი წინადადება, არ მიიღების საზოგადოებას მაგრამ დრონი იცვლენ ხალხი გამოიერკვა სადათან ძალისაგან. მან გაარჩია მტერი მოყვარისაგან. ვისაც გუშინ უცინოდა, დღეს საზარლათ შეუბღვერა. გუშინდელ ბატონ-პატრონს სამუდამოთ ზურგი შეაქცია და მორცხვათ მიუბრუნდა იმას, ვისაც გუშინ მტრათ თვლა და ეს სანატრელი წამები არც ისე დიდი ხნის სამქეა... აი ასეთ დროს ერთი წინადადება საკმაო შეიქნა რომ, რამდენჯერმე ნაცადი განაჩენი საქალებო სკოლის შესახებ შემდგარიყო. კიდევაც შედგა და კიდევაც მოუდოდნელი სისწრაფეთ დამტკიცდა. სკოლის შენობა საზოგადოებამ შეაკეთა, რაც 500 მ. დაუჯდა. მასწავლებელი დირექციამ გამოგზავნა და წელს პირველ იანვრიდან უკვე დაიწყო საქმე., გაიხსნა აგრეთვე ჭრა-კერვის განყოფილებაც. ვიმედოვნებთ რომ ესენი თავიანთი ენერგიული შრომით დაუმტკიცებენ საზოგადოებას, რომ სწავლა განათლებაა ქალებისათვისაც ისე საჭირო უოფილა, როგორც ვაჟებისათვის.

გრ. ურიტაძე.

ᲫᲘᲥᲝᲣᲠᲘ (ზემო იმერეთი) მკითხველებს უსათოთ მოეხსენებათ ჭიქური. იგი მდებარობს ჭიათურასა დ. დარკვეთს შუა. დიდი ხანი არ არის, რაც ჭიქურში მრეწველობამ მოიდგა ფეხი და უოველ წლიგ საგრძნობლათ მატულობს. იყო დრო, როდესაც ჭიქურში ორ კაცს ვერ ნახავდით ერთათ მაგალამ ადეს სულ სხვას ვხედავთ! იქ არის მარგანეცის საწარმოებელი! ძმ. ფოროფოლის, ძმ. ოკანეზოვებს, „შავი-ქვის“, მოსეშვილის, ს. ფურთოლის, ელ. ფურეთლის, „სოიუზის“, ავგერინოვის ვაკლოუფლოვის და-სხვ. ახლავს აგრეთვე ჭიქურს მარგანეცი ანი სოფლები: შუქრეთი, დვიმეკი, დარკვეთი, და ითხვისი. აქ მუშაობს ყოველ დღე ურიცხვი მუშა-ჩალვადარი, იქ არიან ყოველ დღე რამდენიმე მრეწველები, იქ არის 60-მდის სხვა-და-სხვა სავაჭროები, იქ ჩერდება სახალხო მატარებელი, თუმცა ცოტა ხნით მაგრამ, არც ერთ სადგურზე, გარდა ჭიათურისა, იმდენი ხალხი არ სხდება მატარებელში, როგორც ჭიქურის „ბალტოფორმაზე“. აქ 1901 წელს გადმოიეგანეს საწარმოებში დაინდაგი და იქიდგან იწყება მარგანეცის გზიდვა. მიუხედავათ იმისა რომ, 1901 წელს ჭიათურის მრეწველობა საგრძნობლათ შეჩერებული იყო, როგორც სტატისტიკური ცნობებიდგან ჩანს, ჭიქოურიდგან გაუტანიათ 5,263,500 ფუთი შავი ქვა. აი სწორეთ ამ წლიდგან იწყება აქ მრეწველობა და წელს იმ ზომამდე მოიმატა, რომ მთელი ჭიათურის მრეწველობას 60% ჭიქურს ეკუთნის, და მოსალოდნელია, მომავლისათვის მთელი მრეწველობა ჭიქურში გადავიდეს რადგან, ჭიათურის ახლო—მახლო ადგილები თან-და-თან იცლება და ჭიქურისკენ—კი, ჯერ ახალი დაწყებული მუშაობა. მიუხედავათ იმისა რომ აქ ამდენი მოძრაობა არის, მიუხედავათ იმისა რომ, აქ ამდენი ხალხი ცხოვრობს, მიუხედავათ იმისა, რომ ეს სავაჭრო ადგილი ეურადღების დირსია, ის მაინც ეეურადღებოთ არის დატოვებული. აქ არ არის კარგ პირობებში სანიტარული მდგომარეობა, აქ არ იყო დღემდი სასმელი წყალი, რომელსაც 1/2 ვერსის მანძილიდგან ეზიდებოდა ხალხი; (ახლა გამოიეგანა მრეწველთა საბჭომ მიდით წყალი, მაგრამ ისე ცოტა მოსოფავს შიდ რომ, ერთ საათსაც შეუძლებელია ჩაფის გავსება).

აქ იყო ერთად ერთი ბუნებისგან მოინიჭებული საშუალება, მდევრიდა, რომელიც უხვათ საკმარისად მშრომელი ხალხი, მაგრამ კაპიტალისტთა წყალობით ეს ბენების მინაჭებული საზრდოც მოესპოთ საწყალ მუშებს.

სოფ. დარკვეთის მახლობლათ არსებობს მარგანეცის საარეცხი ქარხანა აქ რეცხენ ეოველ დღე შავ ქვას, მისი ნარეცხი ერთგვის ყვირილს და ამდენათ შავდება წყალი, რომ შეუძლებელი ხდება მასში რეცხვა—ბანაობა. ხან-და-ხან რამდენიმე წუთით დაიწმინდება მდინარე, მაგრამ ვერ წარმოიდგენ მეკითხველო, რა აღტაცებით დაიწყებენ ჩალვადარ—მეურმეები ყვირილს! „წყალი დაიწმინდა, წყალი დაიწმინდაო“, და ჩაცვინდებიან შიგ ეს შავი ქვით გამურული და თან სიცხისაგან ძალმიხდილი ხალხი ცხენებიან—ურმებიანათ ვითომდა საბანაოთ მაგრამ, დახე მათ უბედობას, ჯერ კიდევ შუა ბანაობაში არ არიან, როდესაც მოესწრებს შავი ტალახივით წყალი და იძულებული არიან უკანვე ამოვიდენ საწყალები რადგან შეუძლებელი ხდება შიგ ბანაობა. საბანაოთი ჭიქურის მუშები ვერ სარგებლობენ რადგან ის, (საბანაო) დაშორებულია ჭიქურზე 3—ვერსით. აბა თვითონ თქვენ მიხვდით მეკითხველო, ორშაბათიდგან შაბათ საღამომდი ნამუშევარ-დაღლილ-დაქანცულ მუშას კიდევ შეეძლება 3-ვერსის გავლა, ბანაობა, და შემდეგ, იმ დამესვე თავის ცოლ-შვილში დაბრუნება, რომელიც 5—10-ვერსზე ახლავს სამუშაოვარ ადგილს? მე მგონია არა, და ეს ასეც ხდება. შაბათ საღამოს. მუშაობის გათავების შემდეგ მუშა მიდის თავის ცოლ-შვილში, (ზოგ მუშას 15-ვერსზედაც კი ახლავს თავისი სახლი). იმ დამეს იქ რჩება, რასაკვირველია გასვრილ-გამურული; დილას ადრიანათ დგება და ისევ ჭიათურაში მიდის. რათა? იმისთვის რომ. იქ უნდა უცადოს დილიდგან სადამოამდის მრეწველის ან ექსპლატატორის „კანტორის“ წინ, რომ აიღოს ერთი კვირის ნამუშევარი და მით მიაწოდოს ცოლ-შვილს ლუკმა პური.

როგორც კვიგეთ, ბან შ. დადიანს (ქუჯი) თხოვნა შეუტანია

მრეწველთა სიბჭოში „ნება მომეცით დიდის 10 საათიდან კვირაობით ვმართო მუშათათვის იაფ ფასიანი წარმოდგენები, ხოლო სადამის 9 საათიდან ჩვეულებრივი“. ეს განზრახვა ცხადია რომ სამშვიერია და არ მრეწველთა სიბჭოს დაუტოვებია ბ-ნ დადიანის თხოვნა უეურადღებოთ: რომლის თვისაც ნება დაურთავს ეს ძლიერ კარგი მაგრამ რა უნდა ქნას იმ მუშამ, რომელსაც კვირა დიდას ფული აქვს ასდები მრეწველის „კანტორის“ წინ იცადოს თუ თეატრში წავიდეს? რასაკვირველია ის იძულებულია ჯერ ფული აუღოს, თავისი და ცოლ-შვილის კუჭი დააკმაყოფილოს და თეატრი განზე დატოვოს. ამ მიზეზით დიდიან სადამოდის მუშების უნდებათ „კანტორის-წინ ეურეეეტი და საკვირაო სკოლისთვის და თეატრისთვის დრო არა აქვთ. სანამ აქაური მუშების მდგომარეობა ამ პირობებში იქნება, ე. ი. სანამ შაბათობით ფული არ დაურიგდება, მანამდის შეუძლებელია იმათთვის რაიმე დაწესებულებით სარგებლობა. თუ კი მუშებისათვის რაიმე გონების საზრდოს მიწოდება უნდა სიბჭოს, საჭიროა მათთვის თავდაპირველათ დროს მოპოება კვირაში ერთი დღე მაინც.

მე მგონია მკითხველებს კი ესსომებათ თუ რა მწვავე კამათი გამოიწვია მრეწველთა შეხვედრა კრებაზე იმ საკითხმა, რომელიც შეეხებოდა მადნებიდან გადმოსაზიდ გზების უვარგისობას. ისიც მოესენებათ პატივცემულ მკითხველებს, რომ ამისათვის (გზებისათვის) ამოიჩიეს კომისია, რომელსაც მიანდეს გამოკვლევა, სად იყო საჭირო გზების შეკეთება და სად ახალის გაკეთება. ეს კომისია ასად გაზათხულზე ერთი დაფიცურება დაფიცურდა, შეეხაკურდა, მაგრამ მერმეთ ისევ მიეუჩდა. აგერ ივლისი გადის და გზებზე ჯერ არავის უზრუნვია. ნუ თუ ისევ ისეთ ტალახში უნდა ვიცურაოთ ამ ზამთარშიაც, რაგორშიაც შარშან ვცურაობდით? ჩვენ, რაგორც ვიცით, ეს კომისია შედგება ისევ მრეწველებისაგან, იმ მრეწველებისაგან, რომელნიც გზების უვარგისობას ჩიოდენ მეხუთე კრებაზე. საკვირველია დმერთმანი! თუ მეტათ არ აინტერესებდათ ეს საქმე, რათ იწუხებდენ კრების დროს თავს?! სირცხვილია, სირცხვილი, სხვა რომ არა იყოს-რა!! ავიღოთ თუნდ მაგალითად კელაკართის გზა (ჭიქურაში ჩამოდის), ისეთ უხერხულათ მიაჩნია მეურმეს მაზე მუშობა უვარგისობის გამო, რომ $^3/_4$ კაპეიკს მეტს თხოულობს იმ გზიდან ქვის გადმოტანაში. შუქრუთის გზაზე (კლდის თავიდგან ჭიათურაში ჩამოდის) იმაზედ დარს გადმოზიდვა, რომელიც ერთი ვერსის მანძილით მეტია კილავართისაზე, $1^1/_2$ კაპ., სოდო კილავართისაზე—$2^1/_2$ და 2 კ. წელიწადში კილავართის გზაზე გადმოდის არა ნაკლებ 3 მილიონი ფუთისა და ანგარიშე, მკითხველო, თუნდა $^1/_2$ კაპეიკი ეხადოს მეტი მრეწველმა, აბა რამდენს შეადგენს. შეიძლება თუ არა იმ ფულით, რომელიც ერთ წელიწადს მოჩრჩება გზის შეკეთება?

ლადო გუბელი.

რუსეთის ცხოვრება

ოფიციალურ „პედაგოგიურ კრებულში“, რომელიც გამოდის სამხედრო სასწავლებლების უმთავრეს გამგეობასთან, გამოცხადებულია ახალი წესები იმისა, როგორ უნდა წარდგენილ იქნეს უმაღლეს სახელობაზე მოხსენება განსაკუთრებულ მოვლენების და საზოგადო არეულობების შესახებ სამხედრო სასწავლებლებში. უმაღლესი მართველობა სამხედრო სასწავლებლებისა ვალდებულია ყოველ არეულობების შესახებ, რაც შეიძლება მალე, დაწვრილებითი მოხსენება წარადგინოს მათ უმაღლესობის სახელზე და თან აღნიშნოს უმთავრესი მიზეზები არეულობისა, და ზომები, რომელნიც მიღებულ იქნენ არეულობების შესაჩერებლათ და ჩასაქრობათ და აგრეთვე აცნობონ იმ პირთა სია, რომელნიც უმთავრესი დამნაშავენი იქნებიან არეულობებშიო. სიაში უნდა აღნიშნულ იქნეს თუ ვინც რა დანაშაულობა ჩაიდინა. ამიტომ სასწავლებლების გამგეთ ევალებათ მიაწოდონ უმაღლეს მართველობას ყველა საჭირო ცნობები სულ მოკლე ხანში. ამის შემდეგ, რაც არეულობების შესახებ ცნობა იქნება გაგზავნილი. საქმის გარჩევის შემდეგ სასწავლებლის მთავრობა ადგენს დასჯილ პირთა სიას, აღნიშნავს ვის რა სასჯელი დაადვეს და ამას აცნობებს უმაღლეს მართველობას.

კანონთა კრებულში გამოცხადებულია, რომ გაძლიერებული დაცვის წესები ერთი წლით ისევ დატოვებულია შემდეგ ადგილებში: გუბერნიებში პეტერბურგისა, მოსკოვისა, ხარკოვისა, ვოლინისა, ეკატერინოსლავისა, კიევისა და პოდოლისა, ქალაქებში, დონის როსტოვში, ტაგანროგში და ნახიჩევანში, ტაგანროგის მაზრის სოფ. კასპეროვკაში, სტანიცა-გნილოვსკაიაში, პასტუხოვის რკინის ქარხანაში, ქალაქ ელისავეტგრადში, პასად ბოგოიავლენსკში, კალინოვკაში, კრივოირკში, კრივოროგის მადნებში, გდანცევის მადნის სადუღებელ ქარხანაში, პოკროვოს და შუისკის მაზრაში. ქალ. ივანოვოვოზნესენსკში, თფილისში, ბათუმში, ბაქოში მაზრითურთ, ოდესის და ნიკოლაევის ოლქებში, და იმ ადგილებში რომელიც ექვემდებარებიან კრონშტატის გენერალ-გუბერნატორს.

„პრომიშლ. ი ზდოროვ.“-ში აწერილია ქ. პეტერბურგის სტამბებში მომუშავეთა მდგომარეობა. მუშაობა იქ ისეთ სანიტარულ პირობებში ხდება რომ ჯანსაღი ასოთ-ამწყობი—ეშვიათი მოვლენაა, უმრავლესობა დასნეულებულია ყველა სნეულებაზე უფრო მათ შორის ჭლექი მძვინვარებს. პეტერბურგში ყოველ წელს $8^1/_3$% ასოთ ამწყობი იხოცება ჭლექისაგან, სხვა ავადმყოფობისაგან კი 6 პროცენტი. საშუალო რიცხვით ყველაზე უფრო ახალგაზდა ასოთ-ამწყობებს იმსხვერპლებს ხოლმე ჭლექი: უმთავრესათ 30 წ. ახალგაზდებს. სხვა ხელობის კაცებთან შედარებით ჭლექისაგან სიკვდილის მიხედვით ასოთ-ამწყობთ მესამე ადგილი უჭირავთ. ეს მკვდარზე მათ შორის ჭლექისაგან დახოცილნი 53 პროცენტს შეადგენენ, თერძები 50 პროც. გადამწერლები—50 პროც., ზეინკლები—47 პროც. და დურგლები—45 პროც. ჭლექს გარდა ასოთ-ამწყობთა განსაკუთრებული სნეულება ტყვიით მოწამლვაა. სტამბებში მომუშავეთა ეს კაცზე საშუალო რიცხვით ყოველ წელს 2 პროცენტი იწამლვის ტყვიით და ასოთ-ამწყობების ბევრი სხვა სნეულებანი ამ ტყვიით მოწამლვის შედეგია. თვალის სნეულებანიც ერთობ ხშირია ასოთ-ამწყობთა შორის, აგრეთვე ნერვების სნეულებანიც. ევროპაში საშუალო რიცხვით ასოთ ამწყობნი 49 წლამდის ცოცხლობენ, პეტერბურგში კი ბევრად უფრო ნაკლებ ხანს.

საზღვარ-გარეთ

საარსეთი: ევროპის სახელმწიფოთა ინტრიგებმა ისეთ ნაირათ აწეწ-დაწეწეს საარსეთის საქმეები, რომ მაძა შვიდს ვერ ცნობს. ევროპის ბურჟუაზიას თავის ჯაბის გასასუქებლათ და საქონლის გასასადებლათ ესაჭიროება ს
 ახალ ახალი ბაზარი, და ასეთი გამალებული დაეძებენ ასეთებს ოფენ მხარეში. რადგან ევროპის ბაზარი დიდი ხანია სავსეა საქონლით და იქ ახალი ბაზრის გამოჩენრეკა შეუძლებელია, კაპიტალისტებმა ძველ ქვეყნებს, ჩამორჩენილ მხარეებს მიმართეს. მარა საქმე ისაა, რომ ეგენი ახალ ბაზრის გამოჩენრეკა შეუძლებელია, კაპიტალისტებმა ძველ ქვეყნებს, ჩამორჩენილ მხარეებს მიმართეს. მარა საქმე ისაა, რომ ეგენი ბურჟუაზიის სურს თავისთვის მიისაკუთროს, თავის კავლენის ქვეშ იყოლიოს ახალთ გამოჩენილი ბაზარი და ზედ თავისუფლათ იფარფაშოს. ამ ნიადაგზე მათ შორის იბადება ქიშპობა და ინტრიგები ერთი მეორის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი ხშირათ უდანაშაუ-

ლო კოზაკი ხდება. ერთ ასეთ მაგალითს სპარსეთი წარმოადგენს. ამ ქვეყანაში ერთის მხრით ინგლისის საქონელმა მოიპოვა ბაზარი, მეორე მხრით რუსეთის საქონელმაც მოიდგა ფეხი და ეს ორი მეტოქე ერთი მეორეს შეეჯახა.

ინტრიგები მიმართულია იქითკენ, რომ მოიპოვონ ერში თვითონ გავლენა და სახელი გაუტეხონ მოწინააღმდეგეს. და რადგან თვითეულ მათგანს ამა თუ იმ წრეებში უჩნდებათ თანაგრძნობი, ისინი ცდილობენ თავის მომხრეებს მოაპოვებინონ უპირატესობა. მათი აგენტები ამტუტებენ ქვეყანას, ამღვრევენ წყალს, რომ შიგ უფრო კარგათ დაიჭირონ თევზი. ამ მიზნით ბადებენ შურს მტრობას სხვადასხვა წოდებებსა და წრეებს შორის. ბრძოლა მწვავდება და საშინელ დრამის ხასიათს იღებს. ასე მოხთა მაგ., წასულ თვეში სპარსეთში. ინგლის-რუსეთის მეტოქე კაპიტალისტებმა თავიანთ აგენტების საშუალებით დაბადეს განხეთქილება სამღვდელოებასა და საერო მთავრობის შორის, შიიტებსა და ბაბიდებს შორის, რომელნიც თავს რუსეთის მფარველობას ქვეშ რაცხვენ. მათ შორის 17 ივნისს ამტყდარმა არეულობამ ბევრი ბაბიდი იმსხვერპლა. ხალხი იმდენათ გამხეცდა, რომ ბაბიდები (2 კაცი) ზარბაზანის პირზე მიაკრა და ისე გაისროლა.

ზოროასტის მიმდევარნი, გებრები კი—ინგლისის მფარველობის ქვეშ ფიქრობენ მყუდრო ნავთსაყუდელის პოვნას. მთავრობა ბევრს ეცადა ხალხის დამშვიდებას, მარა ამაოთ. მაშინ ხალხის ფანატიზმის ფრთის შესაკვეცათ მოწვეულ იქნა ტეგერანის გუბერნატორი, რომელმაც განკარგულება მოახდინა, ქუჩებში ჯარი დააყენა, მოიწვია კვარტალთა მიმასახლისები და უბრძანა სასტიკათ დაეცვათ წესიერება, გაამრავლა ჟანდერმები, ფარული პოლიციის აგენტები (ბევრი მათში ქალებია), ქუჩებში არტილერია დააყენა... მთავრობის წრეებშიაც სრული ერთობა არ სუფევს.

შახმა ბულდა მიიღო კერბალაისკი და ნედჟებსკის მუშტაიდებიდან, რომელშიაც ისინი სწერენ, რომ შახი მეტათ ცუდი მმართველია მუსულმანთა სამეფოსი. ევროპის სახელმწიფოებს აძლევს თავის ქვეყანას, ამასთანავე ახსენებენ მას, რომ შახი არც სულიერი მმართველია და არც იურიდიული, და მხოლოთ ფაქტიურათ ზის ტახტზე. მეფემ სხვათა შორის უთხრა, რომ სასულიერო წოდება მის საქმეებში ვერ გაერევა, და ამით ძლიერ გააბრაზა სასულიერო პირები. კერბალიისკის მუშტაიდი ამაზე დაემუქრა, თუ შენ თავის მოქმედების ტაქტიკას არ შეცვლი, მე ოსმალეთს მივეკედლები, ან მთელ სპარსეთს ფეხზე დავაყენებ და შენ მეფობას ბოლოს მოვუღებო... ასეთი ალიაქოთია სპარსეთში, როგორც რუსი კორესპოდენტი იწერება უმთავრესათ ინგლისის ინტრიგებით არის გამოწვეული, რადგან მას შურს რუსეთის გაძლიერებათ.—ეჭვი არაა, რუსეთიც თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობს თავის გავლენის გასაძლიერებლათ... უკანასკნელი ცნობებით ამბოხებას შირაზში უფეთქებია: ამდგარა 60,000 კომლი, და უარი უთქვამს გადასახადის მიცემაზე. ისპაგანში დიდ არეულობის შიშით, 3,200 ოჯახი ბაბიდები გაადაასახლეს, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ მათ სულ აიკლებდა გაფანატიკოსებული ხალხი სასულიერო წოდების ჩაგონებით. ამბობენ რომ თავრიზშიაც მალე დაიწყება ამბოხებაო. თავრიზის მუშტაიდს, რომელსაც ამბოხების მოთავეთ თვლიან, უკვე წინადადება მისცეს სპარსეთის საზღვარი დაეგდო...

ისპაგანსა და თავრიზში ჯარს უყრიან თავს, რომ არეულობები მალე ჩააქრონ.

საფრანგეთი: წინეთ ვწერდით, რომ რაც უფრო ძლიერდება მშრომელთა კლასი, რაც უფრო მაგრდება მათი წარმომადგენელი პარტია, მით მეტ ყურადღებას იპყრობს მუშათა მდგომარეობა, მეტი გაუმჯობესება შეაქვთ მათ ცხოვრების პირობებში. ამ მხრით საფრანგეთის კანონდებულობა სხვა ქვეყნებისას არ ჩამოუვარდება, ბევრს კიდევაც სჯობნის. იქ უკვე 1898 წ. 12 ივნის, გამოიცა კანონები, რომელთაც მფარველობა უნდა გაეწიათ შრომისათვის, დაეცვათ მშრომელთა ინტერესები, გაეუმჯობესებიათ მათი ცხოვ. პირ მაგრამ ეს კანონები ეხებოდენ მხოლოდ ფაბრიკებს და ქარხნებს და საზოგადოთ მსხვილ მრეწველობას. ახლა კი მთავრობას ეს კანონები შეუცვლია, შეუვსია. ამ დამატებების ძალით საფაბრიკო კანონს ექვემდებარებიან სამზარეულოები, სარდაფები, წვრიმალნი საქმები, მაგ. დუქნები, ლაბორატორიები და სხვა ამ გვარი დაწესებულებები მეორე განსხვავება ახალი კანონისა ისაა, რომ მას თანასწორათ ექვემდებარება ყველა დაწესებულება, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი სახელმწიფო, საქველმოქმედო და სხქველ-მოქმედო. ყველგან საფაბრიკო ინსპექტორები უნდა იქნენ დანიშნული. დარჩენილა მხოლოდ ერთი უწყება სამხედრო და საზღვაო, რომლის დაწესებულებები არ ექვემდებარებიან ამ კანონებს. მათი თვალყურის დევნება ევალება საგანგებო აგენტებს. საფაბრიკო ინსპექტორები მოვალენი არიან თვალყური ეჭიროთ შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, რომ ფაბრიკების სანიტრული პირობები იქნენ დაცული, მუშებს რიგიანი სადგომები ქძლეოდეთ მანქანათაგან ხიფათის ასცდენი მოწყობილება იყოს ყველა ფაბრიკაში და სხვა.

ინგლისი. გაზეთებში დიდი ხანია ხმა დადის, ამ წელში პარლამენტს დაითხოვენ და მომავალი წლის მარტში ახალი არჩევნები დაიწყებაო; ეს აუცილებლათ საჭიროა, იმ აზრთა არევდარევის მოსასპობათ, რომელიც დღევანდელ კაბინეტის წევრთა შორის არსებობსო და სხ. ახლა მთავრობის ორგანო, „სტანდარდი“ სწერს:

„როდის დაითხოვენ პარლამენტს, ეს ნამდვილათ არავინ იცის, მაგრამ ბოლოს დროს ყველა დარწმუნდა, რომ მთავრობა მომავალ წლის დამდეგს მაინც იძულებული გახდება ხალხს დაეკითხოს, ესე იგი ახალი არჩევანი დანიშნოს. საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევას და განხილვას შემოდგომამდე მოუნდებიან. როცა მინისტრები იანვარში, სესიის გახსნამდე შეიკრიბებიან, პირველი იმათი საქმე იქნება, გადასწყვიტონ ჩემბერლენის პოლიტიკას მიემხრობიან თუ არა, და თუ ვინიცობაა ჩემბერლენის მხარი დაიჭირეს, მაშინ ისიც უნდა გადასწყვიტონ, რანაირათ უნდა აასრულონ კოლონიების მინისტრის პოლიტიკა. თუ მინისტრები კოლონიებისათვის შეღავათიან ტარიფის დაწესებას მოინდომებენ, მაშინ ზოგიერთი მინისტრი სამსახურიდან გადადგება და იმათ მაგიერ ახალი მინისტრების დანიშვნა იქნება საჭირო. განახლებული კაბინეტი პარლამენტს წარუდგება, თავის პროგრამას გააცნობს და პარლამენტს დაითხოვს. მაგრამ დეპუტატები მომეტეჰულ ნაწილათ სხვა აზრისანი არიან: რაკი ხალხი წინააღმდეგია, რომ სასმელ-საჭმელს ბაჟი დაედოს, მთავრობა იძულებული იქნება, ეხლანდელი საფინანსო პოლიტიკა შეუცვლელათ დასტოვოსო. ამიტომ კოლონიების მინისტრმა და იმისმა თანამოაზრე მინისტრებმა ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან კაბინეტის დადგენილებას დაემორჩილნენ, ან სამსახურიდან გადადგნენო“.

ლიბერალური გაზეთი „დაილი ნიუს“-ი ფიქრობს, რომ კაბინეტის კრიზისი შეიძლება იანვარზე ადრეც მოხდეს, რადგან ზოგიერთი მინისტრი, ნამეტნავათ დევონშირის ჰერცოგი, იმ აზრისანი არიან, რომ ასეთმა არეულ-დარეულობამ უიმისოთაც დიდხანს გასტანაო და საჭიროა მთავრობა, რაც შეიძლება მალე გარკვეულ გზას დაადგესო. გაზეთი ფიქრობს, რომ კაბინეტი იძულებული იქნება, იანვარზე ადრე მოიშოროს ჩემბერლენი. თითონ ჩემბერლენი კი დარწმუნებულია, რომ იანვრამდე დარჩება კაბინეტში.

თუმცა ბაჟების მოწინააღმდეგენი ენერგიულათ მოქმედებდენ და დიდ თანაგრძნობასაც პოულობდენ ხალხში, მარა მეორე მხრით არც პროტექციონისტებს სძინავთ. მათ შეუდგენიათ „ლიგა საბაჟო რეფორმებისა“, რომელსაც მიზნათ დაუდევს ჩემბერლენის აზრები გაავრცელოს და მომხრეები

მოუპოვოს. წევრებათ ბევრი გამოჩენილი პირი ჩაწერილა, თავმჯდომარე ლიბერალ-უნიონისტია—სუტერლანდის ჰერცოგი, რამდენიმე ლიბერალებიც ჩაწერილან ლიგაში.

მაკედონია: უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მაკედონიიდან ამბები მოვიდა, რომ მაკედონელების მდგომარეობა ოდნავაც არ ჩამდგარა უკეთეს პირობებში. მართალია ამ ხანში არ მომხდარა ისეთი შემაძრუწუნებელი ამბები როგორც წინეთ სმერდაშიში, სადაც ერთიანათ დააწიოკეს ხალხი ოსმალთა ბაშიბუზუკებმა, რადგან მაკედონელთა კომიტეტების რევოლიცნური მოძრაობა დროებით მიწყნარდა. მაგრამ მაკედონელების მდგომარეობა ისევ ისე აუტანელია, როგორც წინეთ იყო. კომიტეტები ახლა თავის მომხრეებს „უყრიან" თავს... მთებში გლეხები სულ მეტი და მეტი ემხრობა მოძრაობას და რევოლციონერთა რაზმში დგება. ამას ახლა ყველა გაზეთები აღიარებენ, ისინიც კი, რომელნიც შეტათ ანტიპატიურათ ეპყრობიან ბრძოლის საქმეს. ერთი ტელეგრაფის სააგენტო სწერს, რომ მონასტირის ვილაიეტში მეამბოხეთა რიცხვი თან და თან მატულობს. ამასთან აღიარებს იმასაც, რომ მეამბოხენი დიდ ენერგიას იჩენენ. ისინი ხშირათ გააქცევენ ხოლმე სამჯერ უფრო მეტ რიცხვოვან ოსმალთა ჯარს. მაგრამ ილოიზკიოსკი ყოველთვის მალავს ასეთ ფაქტებს, და განგაშს იწყებს, როცა ამბავი მოუვა ამა და ამ ადგილას ოსმალთა ჯარმა გაიმარჯვაო. მეამბოხეთა ასეთი გმირული ბრძოლა თავდები იმისი, რომ თუნდაც გარეშე დახმარება ვერ იშოვოს მაკედონიამ, მაინც შეეძლება თუ მთელი წლები არა, თვეები მაინც გაუძლოს ოსმალთა ბარბაროსობას—მხნეთ გასცეს პასუხი მის ჯარს.

ამ უკანასკნელ დროს კომიტეტების შინაურ ცხოვრებიდან ზოგიერთ ამბებს გადმოგვცემენ, რომლებიც მოწმობენ რომ კომიტეტებში ერთობა დარღვეულია. ლაპარაკი გამოუწვევია კასის მოწყობის საქმეს, ცონევიჩის კომიტეტს სურს რომ ყველა მოგროვილი ფული მაკედონელთა რევოლიუციის სასარგებლოთ მის კასაში ინახებოდეს. ასეთსავე მოთხოვნილებას აღგენს თავის მხრივ სოფაროვის კომიტეტიც. ჯერ ჯერობით ვერ შეთანხმებულან.

სერბია. ყველგან, სადაც კი ფეხი მოიდგა კაპიტალისტურმა წარმოებამ, განვითარდა აღებ-მიცემობა, გაჩნდა პროლეტარიტი, ყველგან აღორძინდა და გამაგრდა მათი იდეოლოგიც სოციალდე-მოკრატიული პარტია, სერბიაში კარგა ხანია გაჩდნენ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ ისინი მომქმედებდენ, როგორც კერძო პირები, განცალკებულა, და ან რადიკალურ პარტიასთან ერთათ, ისინი მცირე რიცხვოვანიყვენ და საკუთარი ორგანიზაცია საკუთარი პარტია აქამდე არ ქონიათ ახლა კი როგორც სერბიის გაზეთები გადმოგვცემენ, მათი რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა და უკვე განუზრახავთ განცალკავება რადიკალოულურ პარტიიდან და საკუთარი პარტიის შედგენა. „დნევნი ლისტს" თუ დავუჯერებთ უკიდურეს რადიკალებსაც თავის პროგრამა სოციალისტურ პრინციპებზე დაუმყარებიათ. ახლო მომავალში უკვე შედგება სოციადემ. პარტია და მომავალ არჩევნებზე ეკენისთვეში საკუთარ კანდიდატებს წამოაყენებენ.

ძ ი ძ ა

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

V

(გაგრძელება. იხ. „კვალი" № 24)

მეორე დღეს ქრისტინე ადგა მხიარული; მას დღეს განსაკუთრებით უხაროდა, რომ ცხოვრება ასე ტკბილი და ფერადელი აქვს. „შვილი, ქმარი, ოჯახი, სოფლური ცხოვრებაა, თვარა აქანაი განა თავს იწუხებს ვინმე იმიზ[illegible] ის და დღითი დღე უფრო და უფრო იწვევდა [illegible] ცხოვრება თავისაკენ. ბულვარში მას ახლა ბევრი მეგობრები ყავდა: მოსამსახურე, გამდლები და ძიძები, რომლებსაც დაყავდათ პატარა ბავშვები სასეირნოთ. უფრო ხშირათ ისინი დიდ წრეში გრძელ სკამებზე ისხდენ ჩამწკრივებული, მასლაათობდენ და თვალს ადევნებდენ ამ დროს შვაზე, სილის დიდ გორაში, მოთამაშე ბავშვებს. რა ამბავი უნდა მომხდარიყო ისეთი ქალაქში, რომ აქ არ ცოდნოდათ. განსაკუთრებით კი იცოდენ სიყვარულის ამბები: ვინ ვის უყვარს, ვინ ვის უღალატა, როგორ გაექცა ამა და ამას ცოლი, ვინ ვის წაართვა ცოლი და სხ... ისინი ყოველთვის უფრო თანაგრძნობით და მოწიწებით იმათ იგონებდენ, ვინც სიყვარულში უფრო სიყოჩაღეს, დარდიმანდობას და მოხერხებულობას იჩენდა. ვინც მოტყუებული იყო, ისინი ზიზღით ლაჩარის სახელით ნათლავდენ მათ, მაგრამ საკმაო იყო, რომ დარდიმანდ მოხერხებულ მოარშიყეს, რომელსაც ისინი პატივისცემით იხსენიებდენ, შემთხვევოდა რამ უბედურება, რომ მაშინვე ზიზღით ჩაექოლათ ის. ქრისტინეს ქალბატონს ყველანი თანაუგრძნობდენ მის სიყვარულში და ყოველთვის დიდის ინტერესით ეკითხებოდენ ქრისტინეს იმის ამბავს.

ერთხელ ქრისტინემ, როცა ჩვეულებისამებრ დილით ბავშვი საწოლ ოთახში შეუყვანა ქალბატონს, ის ერთობ გულმოსული დაუხვდა.

— რა არის, ერთ წუთს რომ არ მოასვენებთ ადამიანს. გაჯავრდა ის,—როცა დაგიძახო, მიშინ შემოდი.

ქრისტინე გამოვიდა ოთახიდან გაკვირვებული. მას თავის დღეში არ უნახავს ქალბატონი ამნაირ ცუდ გუნებაზე. მაგრამ ქრისტინე თითონ ისე კარგ გუნებაზე და ბედნიერი იყო, რომ სრულიად არ დაუნაღვლიანებია ამ შემთხვევას. ის წავიდა ბულვარში და მხოლოთ იქ მიხვდა ქალბატონის გაჯავრების მიზეზს, როცა მხიარულათ დაეკითხა მას ჩამოდენიმე ხმა.

— აბა, რას შობა ახლა შენი ქალბატონი? №-ს პოლკი რომ გადაიყვანეს, ხომ წაუვა მისი სულიკო...

როცა ქრისტინე შინ დაბრუნდა, ქალბატონი კიდევ უფრო გაჯავრებული და მოწყენილი დაუხვდა და ამ დღიდან სრულიად შეიცვალა დერიანის ოჯახში ცხოვრების ჰანგი. მუდამ გაჯავრებული ქალბატონი განუწყვეტლათ კაპასობდა. ცოლქმარი კი ახლა მუდამ ჩხუბობდენ და ყოველს ჩხუბზე ქალბატონს ისტერიკა მოსდიოდა; ასხამდენ მას ოდეკალონს, და მერე მთელი დღე თავშეხვეული დადიოდა. საღამოზე კი მოირთვებოდა და მიდიოდა სადმე სტუმრათ. ან მასთან მოდიოდენ სტუმრები და მაშინ ვარდის ფერი „პენუარით" გამოდიოდა ის მათთან ტანჯულის დაღონებულის სახით. სტუმრები თამაშობდენ ბანქოს, ხანდახან ისიც თამაშობდა მათთან, ხან კი ნელის ნაბიჯით მიდიოდა ფორტოპიანოსთან, ნაზათ გადაიგდებდა უკან გრძელ ფრიალა სახელოებს, გამოაჩენდა მსუქან ტიტველა ბრასლეტებიან მკლავებს და ნაზათ დაიწყებდა რამე „რომანსის" დაკვრას. ხანდახან მღეროდა კიდეც. მღეროდა ის ვნებით, ამღელვარებული მთრთოლარე ხმით. როცა დაჩუმდებოდა, კიდევ და კიდევ თხოვდენ ემღერა; ისიც კიდევ და კიდევ მღეროდა მხიარულ სიმღერებს. მერმე დაღალული დაესვენებოდა დიდ სოფაზე და გასცქეროდა მოთამაშეებს. ქალები ამნაირ მის მდგომარეობას, მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდენ. მამაკაცები კი დროთი დრო მიდიოდენ და მონაწილეობით ეკითხებოდენ: როგორ გრძნობს ახლა თავს. ქმარი კი ულვაშებ ქვეშ იღიმე-

ბოდა და მხიარულათ თამაშობდა ბანქოს. ის ყოველთვის იგებდა.

— სიყვარულში ბედი არა მაქვს,—სიცილით ამბობდა ის ხშირათ,—იმიტომ ვიგებ.

— აი ვის აქვს სიყვარულში ბედი—აჩვენებდენ ხარხარით ულვაშებ აწკეპილ აფიცერზე. რომელიც მართლადა სულ აგებდა.

„შენ გესიზმრება ლოყა წითელი,
თმა შავი ბიჭი გულის 'მემწველი“...

მოისმოდა ამ დროს მეორე სტოლიდან ვისიმე ღიღინი და ყველანი ხარხარობდენ.

სამზარეულოშიაც მხიარულობდენ. აქ ტახტზე ჩამწკრივებული ისხდენ ტასია ჰარმონიკით ხელში, მასთან ახალგაცნობილი გახარებული საყელო-სამაჯურებიანი ნოქარი და დენშჩიკი, იმათ პირდაპირ სკამებზე ისხდენ ქრისტინე, სანდროი და სხ...

— შენი ჭირიმე ტასია, აბა ერთი დაუკარი, მე და ქრისტინე ვიმღერებთ, ა ვიმღეროთ! გამოუყარა სანდროს ხელი მკლავში ქრისტინემ და ჩახედა თვალებში.

— ვიმღეროთ,—გაიცინა ქრისტინემ მხიარულის გაბრწყინვებულის თვალებით და დაიწყეს:

„შე-ე-ნი სუ-უ-უ-რათი ხა-ტათ
სა-ა-ას-თუმალს მის-ვე-ე-ნია“...

— ნელა, ნელა, არ გეიგონონ, თვარა გაცოფებულსავით გამოუარდებიან.

— გუშლამ გავატარეთ ძაან დროი, არაკაცი არ იყო შინ,—თქვა ნოქარმა—აბა, ერთი შენ პოლკა დაუკარი, რუსო,—მიმართა მან დენშჩიკს—ჩვენ ვიცეკვებთ, მოკიდა მან ტასიას ხელი წელში და ასწია.

— არა, ფანტი ვითამაშოთ, მუზიკას გეიგონებენ.

— ფანტი, ფანტი, გაეხარდა ყველას.

— მე წავალ ბალანას ვნახავ და მუალ.—ქრისტინე გაიქცა კუნტრუშით და ისევ ჩქარა მოირბინა უკან.

ყველანი შეუდგენ ფანტის თამაშობას. პირველი ამოუვიდა სანდროს.

— ქალალდი იყოს, ქალალდი, მოისმა აქედ იქიდან ხმა.

სანდრომ გაისწორა ულვაშები ადგა და მივიდა ღიმილით ქრისტინესთან.

— მე რომ ქალალდი ვიყო, რას მიზამდი?

ქრისტინე ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— რას და—დაიწყო შეწითლებულმა ქრისტინემ.—რას და დავწერდი ზედ:

„წერილსა ვწერ ვარდის ძირსა,
წვერი მიტყდება კალამსა.
შორიდან გიძღვნი მრავალსა
სიყვარულს, კოცნას, სალამსა“...

— შენ რას იზამდი?—მიუბრუნდა ის ნოქარს კმაყოფილათ ულვაშების გრეხით.

— დავაფურთხებდი ზედ—გადაიხარხარა მან. იცინოდენ ყველანი. ნოქარს ერგო ნავოსნობა.

— მე და სანდრო რომ ვიჯდეთ ნავში, ვის გადააგდებწყალში?—კითხა მან ტასიას.

— ორივეს გადაგაგდებდი და კოსტაიას ჩევიჯენდი—გადაიხარხარა ტასიამ და შეხედა ნაცრის ფერ ჩოხიან კოხტაიას, რომელიც ესეც იყო შამოვიდა სამზარეულოში.

ნოქარს გარდა ყველამ გადაიხარხარა და გამოართვეს ფანტი კოხტაიასაც...

ისინი თამაშობდენ და შეექცეოდენ სუფრაზე დალაგებულ ხმელ ხილს და კარამელს.

თუ ბატონები არ იყვენ სახლში, მაშინ გაუწყვეტელი ცეკვა-თამაში, დაირა და სიმღერა ისმოდა.

აღდგომის მიწურული, (აღდგომა წრფელს ვიყენ—ოცდა ოთხ აპრილს) ტასიამ ერთბაშათ შეწყვიტა ეს მხიარული საღამოები და თითქმის ყოველ საღამოს თითონ დაიწყო სადღაც სიარული.

ერთხელ დილით ვიღაც გამოპრანჭული ქალი, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირათ მოდიოდა ტასიასთან და რაღასაც საიდუმლოთ ეჩურჩულებოდა, მოვიდა ტასია წაიყვანა.

მთელი დღე ტასია აღარ მოსულა და დაბრუნდა მხოლოთ ღამე.

გაკაპასებული ქალბატონი მთელი დღე ემუქრებოდა, როგორც მოვა ტასია მაშინვე გავაგდებ სახლიდანო. მართლაც მეორე დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე ადგა, ჩაცმაზე ძიძა მოიხმარია, დაუძახა ტასიას და დაუწყო ტუქსვა.

— მე ჩემ სახლში გარყვნილებას არ მოვითმენ.—ყვიროდა ის,—ახლავე გამეცალე ჩემი სახლიდან...

— შენ სახლში გარყვნილებას არ მოითმენ?!.—ხა-ხა-ხა! გადაიხარხარა ტასიამ.

— ახ, რაებს მიბედავს, პავლე, პავლე, უყურე რაებს მიბედავს, ღმერთო ჩემო!

— ოხ, ოხ, ო, ნუ ყვირი, თუ ღმერთი გწამს, მე თითონ მივალ დღეს შენი სახლიდან.

— წაიყვანეთ, წაიყვანეთ აქედან ეს გომბიო,—გაექანა ის მჯიღებ მოღერებული ტასიასაკენ საცემრათ, მაგრამ ღონე მიხდილი ისტერიკულის ტირილით დავარდა იქვე დიდ სავარძელზე.—ვაი, ვაი თირკმელები ამტკივდა, თირკმელები. დამიხსენით ამ გომბიოსაგან,—იძახოდა ის და ისვამდა წელზე ხელს.

— ახ, ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა, კიდევ ისტერიკა!—ამ სიტყვებით გამოვიდა ისევ გარეთ ვაუბატონი, რომელიც ისიც იყო შამოვიდა ცოლის ძახილზე.

საღამოზე ტასია წავიდა დერიანის ოჯახიდან.

აღდგომას კოწია არ ჩამოვიდა. ქრისტინეს ცოტა არ იყოს უკვირდა ეს, მაგრამ დიდხანს არ შეჩერებულა ამ აზრზე. რაც ტასია წავიდა საქმეები მოემატა მას, მაგრამ სამაგიეროთ ახლა ის ქალბატონს მერმე უმთავრესი გამგებელი იყო სახლში, მუდამ ცუდ გუნებაზე მყოფი ქალბატონი ხშირათ უზნაურობდა, კაპასობდა. ქრისტინე დიდის მოთმინებით ემსახურებოდა მას, აცმევდა ტანზე, ფეხზე, აბანიებდა პირს, ვარცხნიდა თმას და უწმენდდა ტანისამოსს. ბავში კი უმეტეს ნაწილათ, რადგანაც ქრისტინე მუდამ საჭირო იყო ქალბატონისთვის, იჯდა მარტოკა თავის ოთახში და ჟღარუნებით თამაშობდა. ქრისტინე ცოტ-ცოტა თან-და-თან გადაეჩვია კიდევაც მის სიყვარულს. ის უფრო-და-უფრო ეძლეოდა გულის თქმას, ცდილობდა, მოსწონებოდა მამაკაცებს, ეკეკლუცებოდა თითქმის ყველას: დენჩიკსაც, რომელიც მიეპარებოდა ხანდისხან და კოცნიდა კიდევაც, რისთვისაც ქრისტინე ვითომ და გაჯავრებული ხარხარით გაჯრბოდა მას, ვაუბატონსაც და სხვებსაც. მას მოსწონდა, რომ მისი დანახვა იწვევს მამაკაცის გულში ვნებით სურვილს, რომელსაც ის სიყვარულს ეძახდა, უხაროდა და მხიარულათ ცხოვრობდა. სხვა ცხოვრების მოთხოვნილება—მოვალეობა დაჩრდილა ამ ლტოლვილებამ მის გულში. მას სურდა მხიარული ცხოვრება, სიყვარული და სხვისი რა დარდი ქონდა. რამოდენიმე დღის შემდეგ კიდევ უფრო სასიხარულოთ შეიცვალა მისთვის ცხოვრება, რადგანაც ქალბატონი ისევ გამხიარულდა და აღარ უზნაურობდა.

ერთ საღამოს მოვიდა შინ ქალბატონი ერთობ ბედნიერი და მხიარული, მოეხვია ქმარს და ალეერსიანათ უთხრა:

— პავლე იცი, საქველ-მოქმედო მიზნით ცოცხალ სურათებიან კონცერტს მართვენ და მონაწილეობას მთხოვენ ცოცხალ სურათებში.

ქრისტინე ამ დროს ხედიდა მას არშიებით და მძივებით ნაქარგ მოსახურავს და ქუდს.

— მერე რა, მიიღე მონაწილეობა, რა გიშავს. რას დგამენ?

— ბერძნების მითოლოგიიდგან; მე ვენერა ვიქნები.

— აპოლონი ვინღა არის?

— აპოლონი ვერ არის მაინცა და მაინც შესაფერი, მაგრამ პარისი იცი ვინ იქნება?

ისინი გავიდნენ მეორე ოთახში და ქრისტინეს აღარ გაუგონია, ვინ იქნება პარისი.

მეორე დღეს ქალბატონმა მოითხოვა დილით ბავში, ეალერსა, აკოცა და დაუბრუნა ძიძას. შემდეგ უთხრა სიცილით:

— იცი ძიძა, სალამოზე სტუმრები გვეყოლება, შავგრემანიც იქნება,—გაიცინა მან ცბიერათ. ცოტა შეჩერდა და ისევ ისე მხიარულის ღიმილით დაუმატა: შკაფში რომ ღვინის ფერი და იის ფერი კაბებია, შენდა მიჩუქნებია, ორივე წაიღე. კიდევ რა გაჩუქო, მითხარი კაი გუნებაზე ვარ... ჰარმონიკას გიყიდი, მე დავინახე ერთჯერ, უკრავდი შენ. აბა, ჰა ჩამაცვი,—მიუშვირა მან ფეხები.

— მადლობელი ვარ, შენი წყალობა აფერი მაკლია.—მიუგო ქრისტინემ.—იმისთანაი კაი გიტარის დაკვრა იცის, ბატონო, სანდროიამ!.. აჰ, გიტარასანაი ხმაი არ იქნება, ნამეტარი დიდკაცურია.

— აბა გიტარას გიყიდი, თუ მოგწონს? მარა ეს სანდროია ვინაა? შენც კავალერები გაიჩინე?—დაუქნია მან თითი ქრისტინეს სიცილით.—კი ვეტყვი მე შენ ქმარს, აბა ჩამოვიდეს!.. მომეცი ცისფერი პენუარი:

— რავა, მეც ქე მაქ ენა,—უთხრა წათამამებულმა ქრისტინემ ღიმილით და გაშალა კაბა ჩასაცმევათ;

— ოჰო, ერიჰა, შენც ეტყვი თუ? ხა-ხა-ხა! ეს კარგია სწორეთ! აბა, ქვით, შენც სუ და მეც სუ. ყოჩაღ ძიძა, ყოჩაღ! უსათუოთ გიყიდი გიტარას, გასწავლის დაკვრას შენი მიხაკო.

— სანდრო.

— ჰო სანდრო. მან დაიბანა პირი, მერმე მიუბრუნდა ძიძას:

— ერთი ძიძა სასეირნოთ რომ წახვიდე, ჩემ მკერავთან შეიარე და უთხარი უსათუოთ მოვიდეს, უთხრა მან და გავიდა სასადილო ოთახში.

მხიარულ და ბედნიერი წავიდა ქრისტინე მკერავთან, მაგრამ მის გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, როცა მკერავთან მან ნახა გძელი კუდიანი კაბით და ყვავილებიანი ტასია.

— ახ, ქრისტინე, რა გამეხარდა შენი ნახვა, დღეს გოგოს გამოგზავნას ვაპირებდი შენთან,—უთხრა მან ქრისტინეს. ტანზე მას მოწითანო კაბა ეცვა და წითელი ლენტი საყელოზე დიდი ბჭყვრიალა ოქროს ბროშკა ქონდა მიბნეული, ლაპარაკობდა გარკვევით და პრანჭიობით.

— ოღონდ დროისთვის დამიმზადე და ფასზე კი მოვრიგდებით, მიუბრუნდა ის ისევ მკერავ ქალს.

— დაგიმზადებთ, როგორ არა,—აიღო მკერავმა ხელში ყვითელი აბრეშუმის მატერია.—ძალიან კარგი ფართალი არის, ამას შავი ხავერდი და აბრეშუმის არშიებით გაწყობა დაშვენდება, მოსაზომებლათ ოთხშაბათს მობძანდით.

ტასიამ მედიდურათ დაუქნია თავი მკერავს, მედიდურათ დაემშვიდობა და მოკიდა ხელი ქრისტინეს.

— აბა, წავიდეთ, ფაიტონი მიცდის.—ისინი გამოვიდნენ გარეთ და ჩასხდენ ეტლში. ტასიამ გაშალა წითელი ქოლგა და უბრძანა მეეტლეს წასვლა.

— ჩემი შვენიერი სალამომდის არ მოვა,—უთხრა მან ქრისტინეს.—წავიდეთ შინ, ყავა დავლიოთ და მერმე გავისეირნოთ ერთათ. ქორქეტაჯან, დაგავიწყდი? მიუბრუნდა ის ბავშს.

(შემდეგი იქნება).

ნინო ნაკიშიძისა.

სტუდენტთა კითხვა.

(შენიშვნა)

ძლიერ დააინტერესა ჩვენი საზოგადოება და კიდევ უფრო თვით სტუდენტობა ბ. სიტყვას მიერ „ცნობის ფურცელში" აღძრულმა კითხვამ. ბ. სიტყვას საყვედური სტუდენტების მიმართ სრული ჭეშმარიტებაა, ამას მოწმობს თვით ზოგიერთი სტუდენტთა წერილები, რომელნიც გულახდილათ აღიარებენ სტუდენტთა დაკნინებას; მაგრამ ამათ გვერდით ისეთებიც არიან, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ დიდი წარმოდგენა თავიანთ თავზე, თავის სტუდენტობაზე, და თუ ხედავენ რამე ნაკლს სტუდენტობაში, იმისიც გამართლება უნდათ მით, რომ არა ერთი ნაკლი ახლავთ ნასტუდენტარებსაცაო.

ჩვენ ამ კითხვაზე კამათს შედარებით გულგრილათ ვუყურებთ, რადგან საზოგადოების ხსნას სულ სხვა მხრიდან მოველით, მაგრამ თავის თავათ კითხვა მაინც საინტერესოა. რა მოხდა ისეთი ჩვენ ცხოვრებაში, რამაც აგრე რიგათ დაახევია უკან სტუდენტობას?

არაფერი, გარდა ამისა, რომ თვით ცხოვრება წინ წავიდა, განვითარდა და ყოველ დღე უკეთესი მომავალის მოახლოვებას ვგრძნობთ. პირველი შეხედვით, თუ ჩვენი ნათქვამი მართალია, მაშინ დღევანდელ სტუდენტობა უკეთესიც უნდა იყოს; სამწუხაროთ ეს ასე არ არის, არც ჩვენში და არც სხვაგან, და ეს აიხსნება მით, რომ ჩვენი ცხოვრება წინ წავიდა. წარვიდენ დრონი სტუდნეტების ჰეგემონიისა, და დღეს ვერავის აკმაყოფილებს მათი ლიბერალური ფრაზები, რომელთა დღენი ყოველთვის დათვლილი იყო და დიპლომის მიღებას დიდი ხნით ველარ გადასცილდებოდა ხოლმე. ამას მოწმობს ნასტუდენტართა დღევანდელი ფიზიონომია, რომელნიც სანამ შემთხვევა უწყობდათ ხელს ლიბერალობდენ, დღეს კი მათი დიდი უმრავლესობა ბნელეთის მოციქულებათ არიან ქცეული და ყოველ მოწინავე აზრს წინ ელობებიან. ამ მხრით ჩვენ სრულიად ვეთანხმებით იმ სტუდენტებს, რომელნიც ნასტუდენტრებზე გვითითებენ, მაგრამ ვიმეორებთ ეს ახლანდელებს არ ამართლებს. თვით ასაკი, თვით სტუდენტობის ხანა, ისეთია ადამიანის ცხოვრებაში, რომ თუ ამ დროს არა, შემდეგ იმას ველარაფერი გაიტაცებს, ველარაფერი აამოძრავებს და დღევანდელი სტუდენტები კიდევ უფრო ღრმათ ჩატოპავენ ცხოვრების წუმპეში, რადგან მათ დღესაც არაფერი იტაცებს მაინცა და მაინც. რასაკვირველია, ამათ რიცხვში არ ვთვლით იმ უმცირესობას, რომელიც ასე თუ ისე მოწინავე კლასს ემხრობა, მაგრამ მათ ბევრი არაფერი აქვთ საერთო მოლიბერალო უმრავლესობასთან. დღევანდელ პირობებში, როცა განვითარებულმა ცხოვრებამ აშკარათ წამოაყენა სხვა და სხვა ჯგუფთა და კლასთა ინტერესები, მათი წინააღმდეგობა, სტუდენტობის როლი უსათუოთ უნდა დამცირებულიყო, რადგან თვით სტუდენტობის უმრავლესობა კონსერვატიული და უკეთესს შემთხვევაში ლიბერალური, წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის წრეებიდან არის გამო-

სული, რასაც ხელს უწყობს თვით რუსეთის უნივერსიტეტების დღევანდელი წესდება, რომელიც თავის კარებს ასე თუ ისე მხოლოთ შეძლებულებს უღებს.

ხოლო ამ ნაწილს საზოგადოებისას, თუ ერთი მხრით ცვლილება მიაჩნია საჭიროთ, მეორე მხრით ეშინაა კიდეც ცვლილებისა, ეშინია, რადგან მისი ინტერესი ჯერ-ჯერობით მხოლოთ გარე კანის შეცვლას თხოულობს და არა საფუძვლისას. ამიტომ სტუდენტობაც ორჭოფ მდგომარეობაში არის მოყოლილი და, მოგეხსენებათ, ორჭოფი ხალხი ვერასოდეს ვერ გაუწევს საზოგადოებას მეთაურობას, ვერ იკისრებს ჰეგემონიას. ეს შეუძლია მხოლოთ იმ ჯგუფს, რომელიც დარწმუნებულია თავისი მოძრაობის სამართლიანობაში, და თუ წინ არა, უკან არაფერი რჩება გულდასაწყვეტი. ასეთ მდგომარეობაში დღეს სხვა წრეა და არა წვრილი ბურჟუაზია, არა რაზნოჩინეცი, რომლის ცხოვრების სარბიელზე გამოსვლას ისეთი ალტაცებით მიეგება სამოციან წლებში რუსეთის მწერლობა. აი ეს არის ჩვენი აზრით საზოგადო მიზეზი სტუდენტთა დაქვეითებისა, თუ კი შეიძლება ასე ვთქვათ და მაინცა და მაინც იმედს არ უნდა ვიტეხდეთ ამ მოვლენით. ისტორია ულმობელია, მასში ყველაფერს საზღვარი აქვს, ყველაფერი წარმავალია და მათში სტუდენტების როლიც. ეს ხომ პირველი და უკანასკნელი ჯგუფი არ არის, რომ ასე ჩამორჩა ცხოვრებას. სხვა ქვეყნების სტუდენტებსაც ასე მოუვიდა, როგორც მაგალითათ გერმანიაში და საფრანგეთში, საცა დღეს სტუდენტობა არც კი სჩანს საზოგადო ცხოვრებაში, ხოლო თუ გამოჩნდა სადმე, ვერც იქ ისახელა თავი. საკმაოა, მოიგონოთ გერმანელ სტუდენტთა ქცევა ბისმარკის იუბილეის დროს და საფრანგეთის (პარიჟის) ზოლას წინააღმდეგ. საბედნიეროთ არც ჩვენს და არც რუსის სტუდენტობას ისეთი არაფერი ჩაუდენიათ აშკარათ, თუმცა ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობა უკვე დაადგა ფრანგ ნაციონალისტების გზას; მაგრამ ამაზე ახლა არ ღირს... დასასრულ შეგვიძლია ჩვენი სტუდენტობის სანუგეშოთ ვთქვათ, რომ ჩვენ მომავალში ერთი მომენტი მაინც არის დარჩენილი, როცა მათი ძალაც გამოსადეგი იქნება და იმითიც უნდა დავკმაყოფილდეთ, თუ იმ გადასახვევამდინ მიყვებიან მოწინავე კლას, სადაც არა ერთი და ორი ჯგუფი შეჩერდება და ზოგი უკანაც დაიწყებს წევას...

ნასტუდენტარი.

ცოტა რამ სოფლის სკოლებზე.

არა ერთხელ გვსმენია საყვედური: ამა და ამ სკოლამ წელიწადში ორი-სამი მასწავლებელი გამოიცვალა, სწავლება რიგიან ნიადაგზე არაა დაყენებული, მასწავლებელს თავის მოვალეობა ავიწყდებაო და ბევრი სხვა. წელს პირადათ ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა შემოგვტირა: «დაიღუპა სოფლის საქმე, გათახსირდა ენა, ცოტათი შეგნებული მასწავლებელი სოფლის სკოლას გაურბის და მოუმზადებელმა შეუგნებელმა სხვას რა უნდა ასწავლოსო». არც ერთი მომჩივანთაგანი არ ასახელებს მიზეზს, რისთვის გაურბის მასწავლებელი სოფლის სკოლას, რატომ სწავლება რაგიან ნიადაგზე არაა დაყენებული, ან რათ ავიწყდებათ მასწავლებლებს თავიანთი მოვალეობა. შევეკითხები ხალხის «გულშემატკივართ»—გამოუცდიათ ის აუტანელი ჯაფა, ის საპატიო, მარა თითქმის ყველასაგან შეურაცხყოფილი ხელობა, რომელსაც სოფლის მასწავლებლობას ეძახიან? მგონი არა. და აბა, რა ძნელია სხვისი მოქმედების გომოუძიებლათ გაკიცხვა, «სხვისი ბუდიდან კუ-კუს ძახილი». ვინც ცხოვრებას სალი თვალით უყურებს, დამეთანხმება, რომ—თუ კაცი ნივთიერათ დაქვეითებულია ე. ი. შიან, მას თითქმის არავითარი შრომა არ შეუძლია. სოფლის მასწავლებელიც ადამიანია, თუ თქვენც დაეთანხმებით, მასაც უნდა საზრდო როგორც «სა[illegible]»-ვი; მანაც უნდა გამოყოს თავი საზოგადოებაში, რადგანაც ყველა ამას უნდა ფული—ეს ყოვლათ შემძლებელი ჩვენი დროის ღმერთი. ახლა წარმოიდგინეთ 20—25 მანეთიანი სოფლის მასწავლებელი, რომელიც ყველა ამ მოთხოვნილებებ გრძნობას და რომლის ბედი სოფლის ბობოლა ჯაქვოსანზე კიდია. მიეცი „ტარშინას“ „გასამრჯელო“, მოგცემს ჯამაგირს, არა და სწერე „ოტნოშენიები“ სანამ ქაღალდი ფასი აგითავდებოდეს. „ოტნოშენიეს“ „პრედპისანიე“ მოყვება, „პრედპისანიე“ს „ობიასნენიე“ და ამასობაში ან გაგძვრება პავლეს ტყავი და ან გადიკარგები სოფლიდან. თუმცა კიდევ 1878 წელს იყო უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ სოფლის მასწავლებლებს დროზე მიეცეს ჯამაგირიო, (**Циркул. предложеніе гг. Губернат. о своевременномъ удовлетвореніи учителей начальн. училищъ жалованіемъ отъ 4 декабря 1878 года № 185**) თუმცა ეს ორი წელიწადია საპენსიო კასა დაარსდა, რისთვისაც ჯამაგირი ყოველთვიურათ უნდა წარადგინოს მამასახლისმა ხაზინაში პროცენტების გამოსარიცხავათ, მარა ისევ ძველებური «ზადერჟკა» ისევ ძველებური «ობიასნენიე». არ იფიქროთ ხალხი არ იხდიდეს დროზე თავის წვლილს მასწავლებლის ჯამაგირისთვის; არა—ხალხი იხდის, მარა რაღაც მანქანებით მამასახლისი გამოდის ყველა „პროშენიებზე“ და „პრედპისანიებზე“ უფრო მაღალი! უკეთეს მფარველობას ამ მხრით არც პირდაპირი მთავრობა უწევს სოფლის მუშაკთ. გუბერნატორი არ შეაწუხოთ თქვენი ჯამაგირისთვისო! (**Циркулярное предписаніе учителямъ отъ Х.-дирекціи, отъ 1899 г. № 798**). რო ყველა ეს შევიწროება აიტანოს ადამიანმა—კაცის აგებულება უნდა ქონდეს—თუ ბატონყმურ პრინციპებს გასცილებია. ამას ზედ ერთვის შარშანდელი ბრძანება, რაც მკითხველს ეხსომება: არავითარი მონაწილეობა არ მიიღოთ საზოგადო საქმეში, თორემ ადგილიდან დაითხოვნებითო და სხვა... აი, ბატონებო, რაა მიზეზი მასწავლებლების „ემიგრაციის“ რისაც „ხალხის მოყვარულთ“ ასე ეშინიათ. ასეთმა წყობილებამ სოფელს ჩამოაცალა ხეირიანი მასწავლებელი. ვინ „მარილობს“ სოფლათ? მკითხავთ თქვენ. გიპასუხებთ: ჩვენდა საუბედუროთ სოფლათ დარჩენილ მასწავლებელთა უმრავლესობა განიყოფება ორ კატეგორიათ. პირველი—ვალდებულნი არიან იმსახურონ განსაზღრული დრო, იმიტომ რომ სემინარიაში ხაზინის ხარჯზე სწავლობდენ. მეორე—ის ახალგაზრდობა, რომელიც სალდათობას გაქცევია და პატარაბს სულის ჯალათათ დასდგომია თავზე, პატარები ფარად უხმარია. თუ ჯერ კიდევ ორიოდ პატიოსანი მუშაკი დარჩენილა სოფლათ, არა მატერიალურ ან უფლებითი უზრუნველყოფლობის მოხებით—არამედ საქმის, მასწავლებლობის, ხალხის და ბავშვების სიყვარულისთვის. ვიცი მეტყვიან:—მასწავლებლობა კონსერვატიული ხელობაა და ბევრიც რო იფხაკურო ერთჯერვე ცნობილ შაბლონს ვერ გასცილდებიო. დაგეთანხმებით, რომ მასწავლებლობა კონსერვატიული ხელობაა, მარა თუ თითონ მასწავლებელი არაა კონსერვატორი—მას ყოველთვის შეუძლია თავისი სკოლა სულ თუ არა, ცოტათი მაინც, გაწმინდოს კონსერვატიულ ელემენტებისაგან, რადგანაც მაინცა და მაინც ჩემს გემოზე ასწავლეო, რო გვიბრძანონ, ეს ტყუილი ბრძანება იქნება. აი მუნჯური მეთოდის გავრცელებაც ბრძანებით დაიწყო ჩვენში, იმპერიალისტური პოლიტიკის ერთი მიზანთაგანია წვრილი ეროვნების ენა მოსპოს და თავისი გაბატონოს. აი სწორეთ ამას ფიქრობდა ბ. ფ. ზ. ლევიტსკი, როდესაც ხსენებული

მეთოდის გავრცელებას მიყო ხელი. გარუსება თუ გაგერმანულება ამა თუ იმ ერისა ისტორიის საქმეა, ჩვენ კი ნათლათ დავინახეთ, კერძო პირი ვერ გადაჭრის საისტორიო კითხვას, ვინაიდან მუნჯური მეთოდი ბორძიკით ძლივს სულს ითქვამს და დანიშნულ მიზანს სრულიად ვერ აღწევს. ასე რომ ყველა ზემო ნათქვამიდან ცხადათ დავინახეთ—ჩვენი სკოლები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ყოველივე მხრით... რა მდგომარეობაში იქნება შაგირდების, ამ მომავალ ახალთაობის ნორჩი გული თქვენ წარმოიდგინეთ. მაშ, ჩავუ კვირდეთ ცხოვრებას და გავიგებთ, რაა მიზეზი „ემიგრაციის“ და სხვა მოვლენათა.

ა. ლაშელი.

საზოგადო მოღვაწეობის ახალი ნიმუში.

ძლიერ მიკვირს, რომ «მეურნეობის მოტრფიალენი»ასე სოგოსავით გამრავლებულან ჩვენში?! „მეურნეობის მოტრფიალენი» მეთქი რომ მოგახსენებთ სახეში ის ჰირები მყავან, რომელთა შორს-გამ ჭვრეტელი გონება გარეშე მეურნეობისა ვერაფერს ხედავს, რომლების აზრითაც ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი ბარის წყერზე კიდია, რომლებსაც ხვნა-თესვა განათლების უმაღლესი საფეხური გონიათ.

ამგვარ «მეურნეობის მოტრფიალთა»ერთ სუკეთესო ტიპიურ წარმომადგენელად, უნდა ჩაითვალოს ბ-ნი ნ. მკურნალი. ეს რამდენიმე წელიწადია ის მოღვაწეობს ქუთაისის სამეურნეო სკოლის ფარგალში და სიტყვით თუ საქმით (უფრო რასაკვირველია სიტყვით) მედგრათ მიუკაფავს გზას ჩვენ საზოგადოების «ოქროს» საუკუნოსაკენ. შემთხვევით წავიკითხე იმისი წერილი „ივერიის“ მე 75 ნომერში, რომელიც მეურნეთადმია მიმართული. ამ წერილში ბ. მკურნალი სხვათა შორის ბ-ნი სტეფანე ბაღდეს-ძე ფეიქროვის საზოგადო მოღვაწეობაზედაც მსჯელობს და ამაზე მინდა შეგაჩერო მკითხველის ყურადღება. ბ-ნი ნ. მკურნალი ბრძანებს:

— „ივერიის ერთ-ერთ წერილში ჩვენ გვქონდა დაბარაკი იმის შესახებ, რომ ქ. ქუთაისში ბ-ნმა სტეფანე ბაღდეს-ძე ფეიქროვმა დახარჯა რამდენიმე ასი მანეთი (თუ არ ათასი) იმისთვის, რომ დაენახვებინა აქაურ მეურნეებისათვის სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები.

«რადგან ჯერ ჯერობით ბ-ნს ფეიქროვს წაგების მეტი, მოგება არა უნახავს-რა, გვეგონა საქმეს თავს დაანებებდა და იკმარებდა ჰირველ გამოცდის სიმწარეს, *) მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

«საზოგადო საქმის სამსახურში სიმწარესაც ითმენს კაცი იმ იმედით, რომ ეგების სწადელი ამისრულდესო.»

«საზოგადო საქმით გატაცებულმა» სტეფანე ბაღდეს-ძე ფეიქროვმა, თქვენს უმორჩილეს მონასაც გაუწია ერთი ფრიად საგულისხმიერო სამსახური.

ბახვის სკოლის მეხუთე განყოფილების მოსწავლეებმა განცხადეს სურვილი სამეენის დანების შეძენისა. ბ-ნი ნ. მკურნალის არ იყოს, ჩვენც მომხვდარი ვიყავით, რომ ჩვენებურმა დანებმა «ქედი უნდა მოიხმაროს» საზღვარ გარეთიდან შემოტანილ დანების წინაშეო. შეგვდექი ფული გროვებს. თითო ბავშვიდან საჭირო იყო თითო მანეთი. ერთი მანეთი ისეთი «საზოგადო მოღვაწისათვის,» როგორიც ბ-ნი ფეიქროვია არავერს შეადგენს, მაგრამ იმ ბავშვებისათვის რომელნიც ორორ კაპეიკობით აგროვებდენ, დიდი თანხა ორი სამი თვის განმავლობაში უმატებდა კაპეიკს-კაპეიკზე, რომ საჭირო თანხა მოეგროვებია. შობის წინა დღეებში გათავდა ფულის გროვება. ორმოცდახუთ ბავშვებში მხოლოდ 31-მა შეასრულა ჩვენ ეს ფულები ბ-ნს ფეიქროვს გაუგზავნეთ და გსთხოვეთ 36 ცალი თანა „კუნდეს“ ფაბრიკისა გამოეგზავნა სკოლის სახელზე.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღეთ დანები, მაგრამ სულ უცნობი ფაბრიკისა და რადგან ბ-ნი ფეიქროვი გვიქებდა ჩვენც დავიტოვეთ. თითო დანა მანეთის მაგივრად 95 კაპეიკათ დაგვითმო (ესეც ერთი ნიშანია ამგვარი საზოგადო მოღვაწეობისა. მანეთს წაგართმევენ და შაურს გაჩუქებენ) ბავშვები ალტაცებით მიეგებენ ახალ დანებ, თავსავით უყვიდენ და უფრთხილდებოდენ.

ნაახალწლევს დავიწყეთ ვარჯიშობა მენობის შესასწავლათ, მაგრამ ვაი ამ დაწყებას. ჰირველ დღესვე რამოდენიმე მარცხი მოხდა: ზოგს გადაეღუნა დანა, ზოგს ამოუტეხა, ზოგს მოდათ გადაუტეხა და ეს კარანდაშის სიმსხო ნედლ წკეპლებზე ვარჯიშობის დროს. ერთი კვირის შემდეგ მთელი დანა ადარავის შერჩენია.

ეს ამბავი წერილობით ვაცნობეთ ბ-ნ ფეიქროვს და იმან სამოწყალოსავით ერთი ცალი დანა და ორშაურიანი სალესი ქვა წამოგვიგზო. ჩვენი ბავშვები კი მგლოვიარეთ არიან-მანეთი ეზარალათ.

ეს გახლავთ ბ-ნი სტეფანე ბაღდეს-ძე ფეიქროვის საზოგადო მოღვაწეობის ერთი მაგალითი და არ ვიცი რაგორ მოგეწონებათ იმ ქება-დიდების შემდეგ, რომელსაც ასე გულ უხვად უძღვნის მას ბ-ნი ნ. მკურნალი. დღეს საზოგადო მოღვაწეობა ეველას თავისებურათ ესმის და ნ. მკურნალის დოდიკას თუ მივეეეთ ეველა ვაჭარი საზოგადო მოღვაწეთ შეიძლება ჩაითვალოს და სამეურნეო იარაღის გამსადებელი მით უმეტეს...

«ბ-ნს სტ. ბაგ. ფეიქროვს წაგების მეტი, მოგება არა უნახავს რა» ამბობს ნ. მკურნალი. მაგრამ ვისაც ფეიქროვის ძველი და ახალი საწყობები დათვალიერებია, ის ადვილათ გაიგებს, თუ რაში მდგომარეობს ეს «წაგების მეტი მოგება»...

„საზოგადო საქმის სამსახურში სიმწარესაც ითმენს კაცი, იმ იმედით, რომ ეგების სწადელი ამისრულდესო“ ბრძანებს იქვე ნ. მკურნალი; მეითხველმა თავისი იცოდეს, მაგრამ ჩემის მხრით მოგახსენებ ბ-მ მკურნალს, რომ ბ-ნ სტეფანე ბაღდეს-ძე ფეიქროვმა უკვე რიგიანათ მიადწია სწადელს.

ჩვენ არ გამოგეკიდებიო, იმას, ნებსითი თუ უნებლიეთი შეცდომა იყო ბ-ნი ნ. მკურნალის წერილში გამოთქმული აზრი, მაგრამ იმედი გვაქვს შემდეგში ჩვენგან მოუვანილ ფაქტს სახეში იქონიებს და ასე წადმა უკუდმა არ გადისვრის საზოგადო მოღვაწის საპატიო სახელს.

ნესტორ კალანდაძე.

.P S. რადგანაც ბ-ნმა ფეიქროვმა თავი იმით იმართლა, რომ ამგვარი დანები ჩვენ ბევრი გავასალეთო, უმორჩილესად გსთხოვ ეველას გვაცნობონ რა დიოსებისანი გამოდგენ ისინი «კუნდეს» დანებთან შედარებით.

ნ. კ.

*) საზოგადოთ შენიშნულია, რომ ამ ჯურის საზოგადო მოღვაწეები „პირველი გამოცდის სიმწარეს“ არ გაუძლებიან, მოგორც ნ. მკურნალს გონებია.

ყურნალ-გაზეთებიდან

ამას წინეთ გეექტოგრაფით დაწერილი წერილები გავრცელდა პეტერბურგში, რომელ წერილებშიაც შეურაცხებითი სიტყვები იყო დაწერილი სერაფიმე საროვსკის ცხოვრების შესახებ, რომლის გვამი დიდის ამბით უნდა ამოეღოთ საფლავიდან და ძვირფას ლუსკუმაში ჩაესვენებიათ, და დაასვენეს ეკკლესიაში 19 ამა ივლისს. ამ წერილების შესახებ „Новое Время-ში“ მიტროპოლიტის ანტონის წერილი იყო დაბეჭდილი.

„აქ სამი კვირის წინეთ პეტერბურგში ძლიერ გავრცელდა გეექტოგრაფით დაბეჭდილი ფურცლები, რომელიც „მართმადიდებელ ეკკლესიასთან მებრძოლ კავშირისა“.

„არ ვიცი, არსებობს თუ არა ამნაირი მართლმადიდებლობასთან მებრძოლი კავშირი; ეს ფურცლები-კი გონივრული მეცადინეობის ნაყოფია, რომელიმე არეულობის მოყვარულ ვაჟბატონისა; ფურცლები იმდენათ ძლიერ გავრცელდა, რომ თავისდა უნებურათ აალაპარაკა მთელი პეტერბურგის საზოგადოება და შესაძლებელია პროვინცია და მივარდნილი ყრუ ადგილიც, თუ-კი იქაც გაავრცელეს ამნაირი უკუღმართი ფურცლები. ამ ფურცლებში რომ მხოლოთ „კავშირის“ დაარსება ყოფილიყო გამოქვეყნებული, მის შესახებ ლაპარაკიც-კი არა ღირდა. დამტკიცება იმისი, რომ მართლმადიდებლობა რუსეთის ხალხის კეთილდღეობისათვის მავნებელია, როგორც ამას კავშირი ამბობს, ნიშნავს სრულს ბრიყვობა-უზდელობას და რუსეთის ისტორიის გაუგებლობას. ამ ფურცლებში რიხით ეხებიან წმიდა სერაფიმე ბერის საქმეებს, არა სასიამოვნოთ იხსენიებენ მას და მისს წმიდა კუბოს ნიშნს უგებენ, და ყველა ამას „თავის წმიდა და ჭეშმარიტ მოვალეობათ სთვლიან“, თითქოს აქ ვინმეს ჭეშმარიტება შეებღალოს! როგორც უფალმა არ განასამართლა ურწმუნო თომა თავისი ურწმუნოებისათვის, არც მე შეუდგები მათ რიხიანობის განსამართლებას. სერაფიმე ბერის შესახებ მორწმუნე და განათლებულ ხალხშიაც-კი დადის ბუნდოვანი ხმები და საკითხს: „რა არის კუბოში?“, ეჭვის თვალით უცქერიან. ამ უაზრო ეჭვის აღსნა-განმარტებას არ შეუდგები; ვუპასუხებ მხოლოთ პირდაპირ ამ საკითხს.

—„რა არის კუბოში?“ კუბოში ნათლათ აღმოჩნდა განსვენებულ ბერის ტანისამოსის ნაწილები. სხეული გახრწნილა, ხოლო ძვლები, თმა და წვერები სრულიად უვნებლათ შენახულია. ასეთია კუბოს მდგომარეობა...

„პროფესორი ე. გოლუბინსკი სამართლიანათ ამბობს: „არიან ჩვენში ადამიანები, რომელნიც ღმერთსაც-კი ეჭვის თვალით უცქერიანო, მაგრამ ჭკუა-გონებით-კი არ მოსდით ეს; ესენი ამტკიცებენ, ვითომც წმიდა ნაწილები, თუ ნამდვილათ წმიდაა, ყოველთვის გაუხრწნელი უნდა იყოსო, ე. ი. სრულიად მთელი, ხელშეუხებელი და სხეულს ერთი ბეწვა ზიანიც-კი არ უნდა ქონდესო.“ ამ ნაირი მტკიცება უაზროა და ძირითადათ ეწინააღმდეგება საეკლესიო მცნებას, რომლითაც გაუხრწნელი ნაწილები სრულებითაც არ ითვლება საზოგადო და უთუო ნიშნათ წმიდა სათნოთა სადიდებელათ...

„წმიდათა წმიდანობის დასამტკიცებლათ ისინი ან თვით ახდენენ საკვირველებას კუბოში და ან მათი ნაწილები, სულ ერთია, მთელი სხეული იქნება ის თუ მხოლოთ ძვლები. როდესაც წმ. ნაწილები გაუხრწნელია, ეს საკვირველების მოხდენაა, მაგრამ დამატება იმ საკვირველებასთან, რომელიც მათი შემწეობით ხდება ხოლმე (იხ. ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა „Церковныя Вѣдом.“-ში № 1ъ 1903 წ. ამ სათაურით: „უხრწნელი წმ. ნაწილები“). სერაფიმე ბერის წმიდანობა მისი ნაშთის თვისებაში-კი არ გამოიხატება, არამედ მისდამი ხალხის რწმენაში და ამის მიერ მოხდენილი მრავალ საკვირველ მოქმედებაში, რომელნიც, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ყოველსავე ეჭვს გარეშეა და ყოვლად სარწმუნო.

„წმიდა კაცისათვის ყოველივე წმიდაა და საკვირველ მოქმედი, თითქმის აჩრდილიცა და ტანისამოსიც-კი, და არა მხოლოთ სხეული ანუ ძვლები. მაგალითათ: აჩრდილი პეტრე მოციქულისა და თავსაკრავი პავლე მოციქულისა ავადმყოფთ კურნავდა; ელისე წინასწარმეტყველის ძვლების შეხებით მკვდარი აღსდგა; წმიდა კაცის ფეხით შედგომით ულუერო გვამი მთელს ძალ-ღონეს იკრებდა.. წმიდა სერაფიმეს სხეულის ნაშთი ძვლებითურთ მორწმუნეთა თვალში ... ესი წმიდათა-წმიდა, ჭეშმარიტი საუნჯეა, რომელსაც ... მათ არ მოაკლდებათ მისი განმაკურნებელი შველა.

„ამ გვარად, სერაფიმე ბერისა კუბოში დარჩა მხოლოთ ძვლები, სხეულის ჩონჩხი, მაგრამ როგორც ღვთის სათნო ადამიანის, წმიდა კაცის ნეშთი, ისინი ითვლებიან წმიდა ნაწილებათ.

დრ. რედაქტორი	გამომცემელი
ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი.	ანდ. მ. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიან გაზეთ

„კვალ“-ზე

(წელიწადი მეთერთმეტე)

გაზეთი გამოვა ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე ბირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა მოხდება: იჯარით გაიცემა 400 კ. საქენი შეშის ჩაბარება. შეშა ერთის წლის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს ქალაქის დაწესებულებებს, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისის საკომენდანტო მმართველობას.

შეშის ჩაბარების მსურველთ შეუძლიათ პირობები გაიგონ გამგეობის 1 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა და უქმე დღეების გარდა.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го іюля 1903 г. Редакторъ-издатель ... ... Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.